Currency risk. In respect of currency risk, management sets limits on the level of exposure by currency and in total. The positions are monitored monthly. The table below summarizes the Company's exposure to foreign currency exchange rate risk at the end of the reporting period:

JSC "MINA"

Financial Statements and Independent Auditors' Report

As of December 31, 2017			
	Monetary financial assets	Monetary financial liabilities	Net balance sheet position
Georgian Lari	10,671,683	(1,780,869)	8,890,814
US Dollar	2,550,550	(29,306,427)	(26,755,878)
Euro	282,982	(9,301,914)	(9,018,932)
Total:	13,505,214	(40,389,210)	(26,883,996)

As of December 31, 2018			
	Monetary financial assets	Monetary financial liabilities	Net balance sheet position
Georgian Lari	10,903,784	(1,625,869)	9,277,915
US Dollar	257,792	(19,932,170)	(19,674,378)
Euro	155,735	(5,198,837)	(5,043,102)
Total:	11,317,310	(26,756,875)	(15,439,565)

The above analysis includes only monetary assets and liabilities. Investments in equities and non-monetary assets are not considered to give rise to any material currency risk.

The following table presents sensitivities of profit and loss to reasonably possible changes in exchange rates applied at the end of the reporting period relative to the functional currency of the the Company with all other variables held constant:

	2018 As of December 31	2017 As of December 31
US Dollar strengthening by 10%	(1,967,438)	(2,675,588)
US Dollar weakening by 10%	1,967,438	2,675,588
Euro strengthening by 10%	(504,310)	(901,893)
Euro weakening by 10%	504,310	901,893

The exposure was calculated only for monetary balances denominated in currencies other than the functional currency of the respective entity. The Company's exposure to currency risk at the end of the reporting period is not representative of the typical exposure during the year.

Interest rate risk. The Company takes on exposure to the effects of fluctuations in the prevailing levels of market interest rates on its financial position and cash flows. The table below summarises the Company's exposure to interest rate risks. The table presents the aggregated amounts of the financial assets and liabilities at

JSC "MINA"

Financial Statements and Independent Auditors' Report

carrying amounts, categorised by the earlier of contractual interest, repricing or maturity dates.

	Demand and less than 1 month	From 1 to 3 months	From 3 to 12 months	From 1 to 5 years	Total
Total financial assets	8,697,753	2,370,460	2,175,347	261,653	13,505,214
Total financial liabilities	(2,321,559)	-	(20,073,595)	(17,994,057)	(40,389,210)
Net interest sensitivity gap at 31 December 2017	6,376,194	2,370,460	(17,898,247)	(17,732,403)	(26,883,996)
Total financial assets	3,682,502	4,661,295	1,726,247	1,247,266	11,317,310
Total financial liabilities	(3,270,799)	-	(12,985,569)	(10,500,507)	(26,756,875)
Net interest sensitivity gap at 31 December 2018	411,703	4,661,295	(11,259,322)	(9,253,241)	(15,439,564)

The Company does not have formal policies and procedures in place for management of interest rate risks as management considers this risk as insignificant to the business.

Liquidity risk

Liquidity risk is the risk that an entity will encounter difficulty in meeting obligations associated with financial liabilities. The Company is exposed to daily calls on its available cash resources. Management monitors monthly rolling forecasts of the cash flows.

Management estimates that the liquidity portfolio of cash and bank deposits can be realised in cash within a day in order to meet unforeseen liquidity requirements.

The table below shows liabilities by their remaining contractual maturity. The amounts disclosed in the maturity table are the contractual undiscounted cash flows. Such undiscounted cash flows differ from the amount included in the statement of financial position because the statement of financial position amount is based on discounted cash flows. When the amount payable is not fixed, the amount disclosed is determined by reference to the conditions existing at the end of the reporting period. Foreign currency payments are translated using the spot exchange rate at the end of the reporting period.

The maturity analysis of financial liabilities at 31 December 2018 is as follows:

JSC "MINA"

Financial Statements and Independent Auditors' Report

	Demand and less than 1 month	From 1 to 3 months	From 3 to 12 months	From 1 to 5 years	Total
Borrowings	-	-	8,029,454	17,994,057	26,023,510
Trade and other accounts payable	2,321,559	-	12,044,141	-	14,365,700
Net interest sensitivity gap at 31 December 2017	2,321,559	-	20,073,595	17,994,057	40,389,210
Borrowings	-	-	8,075,996	10,500,507	18,576,503
Trade and other accounts payable	3,270,799	-	4,909,573	-	8,180,372
Net interest sensitivity gap at 31 December 2018	3,270,799	-	12,985,569	10,500,507	26,756,875

20. Fair Value of Financial Instruments

Assets and liabilities not measured at fair value but for which fair value is disclosed.
Fair values analysed by level in the fair value hierarchy and carrying value of assets and liabilities not measured at fair value are as follows:

	As of December 31, 2017			Carrying value
	Level 1	Level 2	Level 3	
Assets				
Cash and cash equivalents	5,070,772	-	-	5,070,772
Trade receivables	-	8,434,441	-	8,434,441
Total assets	5,070,772	8,434,441	-	13,505,214
Liabilities				
Borrowings	-	-	26,023,510	26,023,510
Trade payables	-	14,365,700	-	14,365,700
Total liabilities	-	14,365,700	26,023,510	40,389,210
	As of December 31, 2018			Carrying value
	Level 1	Level 2	Level 3	
Assets				
Cash and cash equivalents	3,287,413	-	-	3,287,413
Trade receivables	-	8,029,898	-	8,029,898
Total assets	3,287,413	8,029,898	-	11,317,310
Liabilities				
Borrowings	-	-	18,576,503	18,576,503
Trade payables	-	8,180,372	-	8,180,372
Total liabilities	-	8,180,372	18,576,503	26,756,875

Financial assets carried at amortised cost. The fair value of floating rate instruments is normally their carrying amount. The estimated fair value of fixed interest rate instruments is based on estimated future cash flows expected to be

JSC "MINA"

Financial Statements and Independent Auditors' Report

received discounted at current interest rates for new instruments with similar credit risk and remaining maturity. Discount rates used depend on credit risk of the counterparty. Fair value of held-to-maturity investments was determined based on quoted bid prices.

Liabilities carried at amortised cost. The estimated fair value of fixed interest rate instruments with stated maturity, for which a quoted market price is not available, was estimated based on expected cash flows discounted at current interest rates for new instruments with similar credit risk and remaining maturity. Carrying amounts of trade payables and other financial liabilities approximate fair values due to their short term maturities.

21. Shareholders' equity

The company was recognized as an open joint stock company following its privatization in 1997. At that time the company issued 15,121,856 shares with a nominal value of one GEL each. The company issued 1,980,031 shares in 2011 with a nominal value of one GEL each.

The difference between the nominal value of the shares issued and the amounts actually paid by the shareholders, comprising 3,484,317 GEL.

The Company made revaluation of Property, Plant and Equipment in 2018. Current balance of revaluation reserves is 25,841,205 GEL.

22. Subsequent Events

There have not been events after the balance sheet.

სს „მინა“

ფინანსური ანგარიშგებები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის და დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ნაგავიან სხილიძე

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მთლიანი მოგების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	8
ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები	9

ნატალია სხიძე

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს „მინას“ ხელმძღვანელობას და აქციონერებს დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „მინას“ (კომპანია) ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას და ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებებს და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები ყველა არსებით ასპექტში ზუსტად წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მის ფინანსურ მაჩვენებლებს და ფულადი ნაკადებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებული აუდიტორის პასუხისმგებლობების ნაწილში. საერთაშორისო ეთიკის საბჭოს შესაბამისად პროფესიული საბუღალტრო ეთიკის კოდექსის მიხედვით (IESBA კოდექსი) ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ კომპანიისგან, ასევე სხვა ეთიკური ვალდებულებები შევასრულეთ IESBA კოდექსის შესაბამისად. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულება წარმოადგენს ჩვენს მიერ დასკვნის გაცემისთვის სათანადო და შესაბამისი საფუძველს.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და ობიექტურად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმის შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს იმ მიზნით, რომ შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშგებების მომზადება შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობების გარეშე.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ, საჭიროების შემთხვევაში, მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე და მისი ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის გამოყენებაზე, თუ ხელმძღვანელობა არ აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მივიღოთ გონივრული მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეულ რაიმე არსებით უზუსტობას, და წარმოვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ითვალისწინებს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული მტკიცება წარმოადგენს მტკიცების მაღალი დონეს, თუმცა არა იმის გარანტიას, რომ სას-ს სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყველა შემთხვევაში გამოავლენს უზუსტობას, მისი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობებს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა მნიშვნელოვნად იმ შემთხვევაში, თუ ცალკე-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ნაცყო სახიო

სას-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ შეფასებას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მთლიანი პროცესის განმავლობაში, კერძოდ ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსური ანგარიშგების არსებითი, როგორც თაღლითობით ასევე შეცდომით გამოწვეული უზუსტობების რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, ვიმუშავებთ და ვახორციელებთ ასეთი რისკების შესაბამის აუდიტის პროცედურებს, და ვიღებთ აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც წარმოადგენს ჩვენს მიერ დასკვნის უზრუნველსაყოფად სათანადო და საკმარის საფუძველს. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდეს თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა უფრო მაღალია შეცდომის შედეგად გამოწვეულ ხარვეზებთან შედარებით, ვინაიდან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს შეთქმულებას, გაყალბებას, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლიდან გადახვევას.
- ვეცნობით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლის მექანიზმს, იმ მიზნით, რომ არსებულ პირობებში შევიმუშავოთ აუდიტის სათანადო პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ ჩვენი მოსაზრება წარმოვადგინოთ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობის თაობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული ბუღალტრული მეთოდების მიზანშეწონილობას, სააღრიცხვო შეფასებების საფუძვლიანობას და ხელმძღვანელობის მიერ აღნიშნულთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას;
- ვახდენთ დასკვნის გამოტანას ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს აღრიცხვის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე და მიღებული აუდიტური მტკიცებულების საფუძველზე, განვსაზღვრავთ არსებობს თუ არა პირობებთან ან მოვლენებთან დაკავშირებული რიმე არსებითი უზუსტობები, რომელმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის მიერ მოქმედ საწარმოდ ფუნქციონირების შესაძლებლობა. უზუსტობების დადგენის შემთხვევაში, ვალდებული ვართ ჩვენს აუდიტურ დასკვნაში განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ ფინანსურ ანგარიშგებებში დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა მოხდეს ზუსტად ან იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ინფორმაცია შეუსაბამოა, შეცვალეთ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც მიღებულია აუდიტორული დასკვნის შედგენის თარიღამდე. თუმცა, კომპანიამ შესაძლოა შეწყვიტოს მოქმედ საწარმოდ ფუნქციონირება შემდგომი მოვლენებიდან ან პირობებიდან გამომდინარე.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების, მათ შორის მონაცემების, წარმოდგენის მთლიან ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს და ასევე ვაანალიზებთ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული ტრანზაქციები და მოვლენები წარმოდგენილია თუ არა ზუსტი სახით.
- ვიღებთ საკმარის სათანადო აუდიტურ მტკიცებულებას ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება კომპანიებს ან კომპანიის საქმიანობებს, ფინანსური ანგარიშგების შესახებ დასკვნის გამოსატანად. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. ჩვენ პასუხისმგებლობას ვიღებთ მხოლოდ ჩვენს მიერ გაკეთებულ აუდიტურ დასკვნაზე.

ჩვენ ურთიერთობა გვაქვს კომპანიის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, მათ შორის და არა მხოლოდ, დაგეგმილი აუდიტის მასშტაბთან და ვადებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე აუდიტის შედეგებთან, და აუდიტის დროს შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილ მნიშვნელოვან ხარვეზებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მაგდა ფანჩულიძე

პარტნიორი

შპს „ქროუ ჯი“

28 თებერვალი, 2019 წ.

ხელმოწერილია და დამოწმებულია ბეჭდით

ნაცარი - სასიძე

		ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	
შენიშვნა		2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
აქტივები			
მიმდინარე აქტივები:			
ფული და მისი ექვივალენტები	7	3,287,413	5,070,772
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	7,838,896	8,664,517
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	17,283,593	17,531,885
გადახდილი ავანსები	10	819,320	953,658
სულ მიმდინარე აქტივები:		29,229,222	32,220,832
ძირითადი საშუალებები	11	44,168,367	51,117,924
არამატერიალური და სხვა აქტივები		166,756	62,033
სულ ჯამი:		73,564,346	83,400,789
ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	3,435,132	2,481,855
კლიენტებიდან მიღებული ავანსები		235,677	231,614
პროცენტებიანი სესხები და კრედიტები	14	8,075,996	8,029,454
დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება	13	4,909,573	12,044,141
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		16,656,378	22,787,063
გრძელვადიანი სესხები	14	10,500,507	17,994,057
აქციონერთა კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	21	17,101,887	17,101,887
გაუნაწილებელი მოგება		(19,948)	(3,069,029)
საემისიო შემოსავალი	21	3,484,317	3,484,317
გადაფასების რეზერვი	21	25,841,205	25,102,494
სულ ჯამი:		73,564,346	83,400,789

ფინანსური დირექტორი /ხელმოწერილია/

გენერალური დირექტორი /ხელმოწერილია/

სს "მინა"

ფინანსური ანგარიშგებები და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

	შენიშვნა	სრული შემოსავლის ანგარიშგება	
		2018 წლის მდგომარეობით	2017 წლის მდგომარეობით
გაყიდვები	15	59,980,024	60,336,334
გაყიდვების თვითღირებულება	16	48,755,070	51,906,777
მთლიანი მოგება		<u>11,224,954</u>	<u>8,429,558</u>
საოპერაციო ხარჯები	17	6,879,339	6,918,444
ოპერაციებიდან მიღებული მოგება		<u>4,345,615</u>	<u>1,511,113</u>
სხვა მოგება		128,703	302,080
ფინანსური მოგება-ზარალი	18	1,425,237	1,120,804
წმინდა მოგება გადასახადის გადახდამდე		<u>3,049,080</u>	<u>692,389</u>
მოგების გადასახადთან დაკავშირებული სარგებელი (ზარჯი)			-
სუფთა მოგება		<u>3,049,080</u>	<u>692,389</u>

ფინანსური დირექტორი /ხელმოწერილია/

გენერალური დირექტორი /ხელმოწერილია/

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ნაცია სახით

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2018 წლის მდგომარეობით	2017 წლის მდგომარეობით
საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
წმინდა მოგება გადასახადის გადახდამდე	9 3,049,081	692,389
კორექტირებები:		
ცვეთა	ი 8,638,637	8,899,926
საპროცენტო ხარჯი	8 982,147	1,096,295
არამატერიალური და სხვა აქტივების ამორტიზაცია	3 17,394	17,394
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	6 13,687,258	10,706,004
სავაჭრო და სხვა დედიტორული დავალიანების შემცირება/(გაზრდა)	5 825,620	358,303
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემცირება/(გაზრდა)	<u>248,293</u>	<u>7,072,535</u>
გადახდილი ავანსების შემცირება/(გაზრდა)	134,337	(17,644)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების გაზრდა/(შემცირება)	953,277	(541,923)
პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების გაზრდა/(შემცირება)	128,359	(912,995)
დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანების გაზრდა/(შემცირება)	(7,134,568)	(2,801,582)
კლიენტებიდან მიღებული ავანსების გაზრდა/(შემცირება)	4,064	78,272
ოპერაციებიდან გენერირებული ფულადი საშუალებები	8,846,640	13,940,969
გადახდილი პროცენტი	<u>(1,063,963)</u>	<u>(1,063,963)</u>
საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებული/საოპერაციო	7,782,677	12,877,006
საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი საშუალებები	<u>(2,072,487)</u>	<u>(796,843)</u>
საინვესტიციო საქმიანობებიდან მიღებული ფულადი ნაკადები	<u>(2,072,487)</u>	<u>(796,843)</u>
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	<u>(7,493,550)</u>	<u>(7,294,800)</u>
საინვესტიციო საქმიანობებიდან მიღებული/ გამოყენებული წმინდა ფულადი საშუალებები	<u>(7,493,550)</u>	<u>(7,294,800)</u>
ფინანსური ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადები	<u>(1,783,360)</u>	<u>4,785,363</u>
გრძელვადიანი დავალიანების დაფარვა	5,070,772	285,409
ფინანსური ოპერაციებიდან მიღებული/ფინანსურ ოპერაციებში გამოყენებული წმინდა ფულადი საშუალებები	<u>3,287,413</u>	<u>5,070,772</u>
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა ცვლილება		
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ნაცარი ხელი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი სააქციო პრემია მოგება	გადაფასების რეზერვი
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერს	17,101,887	(3,761,418)	3,484,317
წმინდა მოგება (ზარალი)	-	692,389	-
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერს	17,101,887	(3,069,029)	3,484,317
წმინდა მოგება (ზარალი)	-	3,049,080	-
ფიქსირებული აქტივების გადაფასება	-	-	738,711
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერს	17,101,887	(19,948)	3,484,317

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ნაცარი სხიოძე

ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებული შენიშვნები

1. საანგარიშგებო სუბიექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაარსდა 1987 წელს. 1997 წლის მაისში განხორციელებული პრივატიზაციის შემდეგ, კომპანია დარეგისტრირდა საქართველოში მოქმედი სააქციო საზოგადოების ფორმით. კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: სოფელი ქსანი, თბილისიდან 40 კმ, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მინის ბოთლების წარმოება.

ბ) საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად, კომპანია ექვემდებარება საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრების ზეგავლენას, რომლებსაც განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. ნორმატიულ-სამართლებრივი და საგადასახადო ბაზა კვლავაც განაგრძობს განვითარებას, თუმცა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა სამართლებრივ და საგადასახადო სირთულეებთან ერთად დაბრკოლებას უქმნის საქართველოში მოქმედ კომპანიებს. ფინანსური ანგარიშგება ასახავს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე ქართული ბიზნეს გარემოს გავლენის მენეჯმენტისეულ შეფასებას. სამომავლო ბიზნეს გარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

2. მომზადების საფუძველი

ა) შესაბამისობის შესახებ განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ('ფასს') შესაბამისად.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ისტორიული/პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო წელი ნიშნავს კალენდარულ წელს, რომელიც იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია საქმიანობას ახორციელებს უწყვეტად და რომ თავის საქმიანობას გააგრძელებს თვალმისაწვდომ მომავალშიც. კომპანიის ხელმძღვანელობას და აქციონერებს სურთ კომპანიის სამომავლო საქმიანობები განახორციელონ საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საქმიანობის უწყვეტობის დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ნატალია სასიძე

3. ცვლილებები საადრიცხო პოლიტიკაში და ინფორმაციის გამჟღავნებაში

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან

გამოქვეყნდა კონკრეტული ახალი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან და რომელიც მიიღო კომპანია. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი ჩამონათვალი, რომელიც ვრცელდება კომპანიაზე.

ფასს 9 "ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და გაზომვა"

ახალი სტანდარტების ძირითადი მოთხოვნები:

- ფინანსური აქტივები კლასიფიცირებული უნდა იქნას გაზომვის სამ კატეგორიად: ფინანსური აქტივები, რომელიც გაიზომება ამორტიზებული ღირებულებით, ფინანსური აქტივები, რომელიც უნდა გაიზომოს რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში (FVOCI) და ფინანსური აქტივები, რომელიც იზომება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში (FVPL).
- ბას 39-ით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან და გაზომვასთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები ფასს 9-ში უცვლელად არის.
- ფასს 9 სთავაზობს გაუფასურების ზარალების აღიარების ახალ მოდელს - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი. არსებობს სამეტაპიანი მიდგომა, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას თავდაპირველი აღიარების შემდგომ. ფაქტობრივად, ახალი წესები ნიშნავს, რომ სუბიექტები ვალდებული არიან აღრიცხონ პირდაპირი ზარალი, რომელიც უტოლდება 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს იმ ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების დროს, რომელიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული (ან არსებობის მაძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებულ დებიტორულ დავალიანებაზე). იმ შემთხვევაში, თუ აღინიშნება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად ზრდა, გაუფასურება იზომება არსებობის მაძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოყენებით და არა 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალით. მოდელი საოპერაციო თვალსაზრით ითვალისწინებს გამარტივებებს საიჯარო და ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებულ დებიტორულ დავალიანებებთან მიმართებაში.

ფასს 15. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

2014 წლის მაისში გამოიცა 'ფასს' 15, რომელიც საწარმოებს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღრიცხვის ერთიან სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლისთანავე 'ფასს' 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ სახელმძღვანელო მითითებებს, მათ შორის 'ბასს 18'-ს - ამონაგები, ბასს 11-ს - სამშენებლო ხელშეკრულებები და დაკავშირებული ინტერპრეტაციები. აღნიშნული სტანდარტი მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.

'ფასს' 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლის ან მომსახურებების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც ასეთი პირი ვარაუდობს ამ საქონლის და მომსახურებების სანაცვლოდ.

'ფასს' 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულების შემდეგ, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებებზე "კონტროლი" გადაეცემა მომხმარებელს. კომპანია ამჟამად ახორციელებს ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის შესაძლო ზეგავლენის შეფასებას.

ზემოთ მითითებული სტანდარტების არცერთ ცვლილებას, რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

4. ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას და ასევე ვალუტას, რომელშიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია. მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

5. შეფასებების და დასკვნების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 'ფას'-ის შესაბამისად, რაც მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთი დასკვნების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და დანახარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შესაძლოა აღნიშნული შეფასებებისგან განსხვავებული იყოს.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ გავლენა ექნებათ.

ხელმძღვანელობას არ გამოუვლენია დაშვებასთან ან შეფასებასთან დაკავშირებული რაიმე ისეთი უზუსტობა, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანად განაპირობოს შემდგომი ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი კორექტირება.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და ინფორმაციის წარმოდგენის უზრუნველსაყოფად საჭიროა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა. სამართლიანი (რეალური) ღირებულება განისაზღვრა გაზომვისა და ინფორმაციის წარდგენის მიზნით. სამართლიანი (რეალური) ღირებულება კლასიფიცირებულია ოთხ სხვადასხვა დონედ სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასებისას ტექნიკაში გამოყენებული მონაცემების საფუძველზე, კერძოდ ეს დონეებია:

- **დონე 1:** კოტირებული ფასები (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისთვის ან ვალდებულებებისთვის;
- **დონე 2:** მონაცემები 1 დონეში გათვალისწინებული კოტირებული ფასების გარდა, რომლებიც ექვემდებარება დაკვირვებას აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებით, პირდაპირ (როგორც არის ფასები) ან არაპირდაპირ (ფასებისგან წარმოებული);
- **დონე 3:** აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული მონაცემები, რომელიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების კლასიფიკაცია შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეებად, სამართლიანი ღირებულების შეფასების კლასიფიცირება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და ასევე თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული კომპანიის მიერ.

ა) უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები გადაყვანილია კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების თარიღებისთვის დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო დღეს უცხოურ ვალუტებში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ხელახლა გადაყვანილი იქნა ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების თარიღებისთვის დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული ფუნქციონალური ვალუტის ამორტიზებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზებულ ღირებულებას შორის სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების საფუძველზე გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში.

ბ) ფულადი საშუალება

ფულადი საშუალება მოიცავს ფულად საშუალებებს შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსურ დაწესებულებებში არსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

გ) დებიტორული დავალიანება

წარდგენის საფუძველი - დებიტორული დავალიანება გამოისახება გადაუხდელი ძირითადი თანხებით უიმედო და სეჭვო ვალების რეზერვის გამოქვითვით. უიმედო და სეჭვო დებიტორული დავალიანების რეზერვი საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ შეფასებულ სავარაუდო ზარალის თანხებს, რომელიც წარმოშობილია საანგარიშგებო თარიღისთვის.

რეზერვები - საეჭვო დებიტორული დავალიანების რეზერვი ეფუძნება შეფასებებს, რომელიც ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს დებიტორული დავალიანების ამოღებაზე. საბოლოო ზარალები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე მაჩვენებლებისგან, რომლებიც პერიოდულად ექვემდებარება გადახედვას, ხოლო კორექტირების აუცილებლობის შემთხვევაში, მათი ასახვა ხდება შესაბამისი პერიოდის შემოსავლებში.

მომხმარებლების კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებით საიმედო ინფორმაციის არარსებობის გამო, სავარაუდო ზარალების შეფასება არ არის ბოლომდე ზუსტი. მიუხედავად ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობამ მაქსიმალურად ზუსტად შეაფასა ზარალები და დარწმუნებულია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზარალების შეფასებები საკმარისად დასაბუთებულია ყველა ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ნატალია ს. სიბიძე

დ) სასაქონლო - მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესის ღირებულებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება შეწონილი საშუალო ღირებულების პრინციპს, და მოიცავს მარაგების შეძენისას წარმოშობილ დანახარჯებს, ასევე პროდუქციის წარმოებისა და დამუშავების ხარჯებს, და სხვა ხარჯებს, რომელიც წარმოიშვება პროდუქციის არსებულ მდგომარეობაში და ადგილზე მოტანის პერიოდში.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეწარმეო პროცესისთვის დადგენილი გაანგარიშებული გასაყიდი ფასი, პროდუქციის დაკომპლექტებისა და გაყიდვის ორგანიზაციისთვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ე) ძირითადი საშუალებები**აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. "მიწისა და შენობა ნაგებობების" კატეგორიასთან დაკავშირებით საკუთარ კაპიტალში ასახული გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი აქტივების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში შესაძლოა პირდაპირ იქნას გადატანილი გაუნაწილებელ მოგებაში. აქტივის ბრუნვიდან ამოღებისას ან გასვლისას შესაძლოა რეალიზებული იქნას მთლიანი ნამეტი. თუმცა, ნამეტის ნაწილი შეიძლება რეალიზებულ იქნეს საწარმოს მიერ აქტივის გამოყენების დროს. ასეთ შემთხვევაში, რეალიზებული გადაფასების ნამეტის თანხა არის სხვაობა აქტივის გადაფასებულ საბალანსო ღირებულებაზე დაფუძნებულ ამორტიზაციასა და იმ ამორტიზაციას შორის, რომელიც აღიარებული იქნებოდა აქტივის პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. გადაფასების რეზერვის ნამეტის გადატანა პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაზე არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მეშვეობით.

ღირებულება ითვალისწინებს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას. საკუთარი ძალებით წარმოებული (აშენებული) ძირითადი საშუალებების ღირებულება მოიცავს მასალების, შრომის და სხვა ისეთ ხარჯებს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად შესაბამის მდგომარეობაში მოყვანას, ასევე დემონტაჟის და საგნების გატანის ხარჯებს, ობიექტის აღდგენის ხარჯებს და სესხთან დაკავშირებულ კაპიტალიზირებულ ხარჯებს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების შემადგენელ ნაწილს, კაპიტალიზირებულია როგორც ასეთი მოწყობილობის ნაწილი.

როდესაც ძირითადი საშუალებების ობიექტი შედგება ცალკეული კომპონენტებისგან, რომელთაც გააჩნიათ გამოყენების სხვადასხვა ვადა, თითოეული მათგანი განიხილება, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ობიექტი (მნიშვნელოვანი კომპონენტი).

ძირითადი საშუალებების ნებისმიერი ობიექტის გასვლის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება ასეთი გასვლიდან მიღებული შემოსულობების შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება წმინდად მოგება-ზარალის მუხლის "სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯების" ფარგლებში.

შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების ზოგიერთი ობიექტის კომპონენტების შეცვლის ღირებულება აღიარებულია შესაბამისი ობიექტის საბალანსო ღირებულებაში, თუ არსებობს კომპანიისთვის სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა, ხოლო მისი ღირებულება შესაძლოა შეფასდეს სიზუსტის საკმარისი დონით. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ექვემდებარება ჩამოწმას. ძირითადი საშუალებების ყოველდღიურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალში მათი წარმოქმნის მომენტიდან.

ნაცარი სს "მინა"

ცვეთა/ამორტიზაცია

ძირითადი საშუალებების ობიექტებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც ხდება მათი დაყენება და შესაძლებელია მათი გამოყენება, ან საკუთარი საშუალებებით წარმოებულ (აშენებულ) აქტივებთან დაკავშირებით, აქტივის დასრულებისა და ექსპლუატაციაში გაშვების თარიღიდან. ცვეთა გაანგარიშდება აქტივის ფაქტობრივი ღირებულების საფუძველზე, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა მოგება-ზარალში ირიცხება ხაზოვანი მეთოდით ძირითადი საშუალების ობიექტის თითოეული კომპონენტისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს მეთოდი ყველაზე ზუსტად ასახავს აღნიშნულ აქტივში განიცემული სამომავლო ეკონომიკური სარგებელის მოხმარების კონკრეტულ ასპექტებს. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას. თითოეული პერიოდისთვის, სხვაობა აქტივის გადაფასებულ საბალანსო ღირებულებაზე დაფუძნებულ ამორტიზაციასა და იმ ამორტიზაციას შორის, რომელიც აღიარებული იქნებოდა აქტივის პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გადაფასების ნამეტიდან გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შენობები და კონსტრუქციები	33
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	5-10
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	7
მოძრავი ნივთები, ავეჯი და სხვა საოფისე მოწყობილობები	7-10

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში მათი კორექტირება.

ვ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის არაწარმოებული ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სესხებისა და დებიტორული დავალიანების კატეგორიებში, ხოლო არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - ფინანსური ვალდებულებების სხვა კატეგორიაში.

არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია აღიარებს სესხებს, დებიტორულ დავალიანებას და დეპოზიტებს მათი გამოყოფის თარიღიდანვე. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ვალდებულება აღიარდება გარიგების გაფორმების დღეს, როდესაც კომპანია გახდება ხელშეკრულების მხარე.

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ნუგარიძე ს.ს.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე საკონტრაქტო უფლებების ამოწურვის შემდეგ, ან როდესაც ის ტრანზაქციის საფუძველზე გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებით ფულადი ნაკადების მიღების უფლებებს, რა დროსაც ასევე ხდება ფინანსური აქტივის მფლობელობის ყველა არსებითი რისკის და სარგებლობის გადაცემა.

გადაცემულ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში რაიმე ინტერესი, რომელიც წარმოშობილია ან შენარჩუნებულია კომპანიის მიერ, აღიარდება როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას მისი საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების ან გაუქმების ან ვადის ამოწურვის შემდეგ. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩათვლილია და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია წმინდა ოდენობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას გააჩნია კანონიერი უფლება ჩათვალოს თანხები და განზრახული აქვს განახორციელოს ანგარიშსწორება ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

სესხები და დებიტორული დავალიანება

სესხები და დებიტორული დავალიანება წარმოადგენს ფინანსური აქტივების კატეგორიას, ფიქსირებული ან განსასაზღვრი გადახდებით, რომელიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე. ასეთი აქტივები პირველყოფილია აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები. პირველადი აღიარების შემდეგ სესხები და დებიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც არ ითვალისწინებს გაუფასურების ზარალს.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ანგარიშზე არსებულ ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა შეძენის თარიღიდან არის სამი თვე ან ნაკლები და რომელიც ექვემდებარება სამართლიან ღირებულებაში უმნიშვნელო ცვლილების რისკს.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

სხვა ფინანსური ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით.

ზ) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები და აქციაზე ოფციონები აღიარებულია, როგორც კაპიტალიდან დაქვითვა, შესაბამისი გადასახადების გამოკლებით.

თ) გაუფასურება

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები, რომლებიც მოგება-ზარალში შეფასებული არ არის სამართლიანი ღირებულების მიხედვით, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება იმის დასადგენად არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა ზარალის შემთხვევას, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა ასეთი აქტივიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია.

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგებები და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

- მოვალის მხრიდან ვალის ვადაგადაცილება ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე;
- მინიშნებები მოვალის გაკოტრებასთან დაკავშირებით;
- ეკონომიკური პირობები, რომელიც განაპირობებს გადახდის ვალდებულებების შეუსრულებლობას.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანია აფასებს გაუფასურების ნიშნებს ასეთ აქტივებთან დაკავშირებით, როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ საფუძველზე. ინდივიდუალური თვალსაზრისით ყველა მნიშვნელოვანი სესხი და დებიტორული დავალიანება გაუფასურების საგანზე ფასდება ინდივიდუალურად. თუ აღმოჩნდება, რომ ყველა ინდივიდუალურად არსებითი სესხი და დებიტორული დავალიანება არ არის ინდივიდუალურად გაუფასურებული, შემდეგ ხდება კოლექტიურ საფუძველზე შეფასება ნებისმიერ გაუფასურებასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა, თუმცა ჯერ არ გამოვლენილა. სესხის და დებიტორული დავალიანების კოლექტიური შეფასება ხდება რისკის იდენტური მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ერთად დაჯგუფებით.

კოლექტიური გაუფასურების შეფასებისას, კომპანია იყენებს დეფოლტის ალბათობის ისტორიულ მონაცემებს, ღირებულების ამოღების ვადას და დამდგარი ზარალის მოცულობას, რომელიც კორექტირებულია ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე იმასთან დაკავშირებით არის თუ არა არსებული ეკონომიკური და საკრედიტო პირობები იმგვარი, რომ შესაძლებელია ფაქტობრივი ზარალი იყოს ისტორიული მონაცემებით შემოთავაზებულ მოცულობაზე მეტი ან ნაკლები.

გაუფასურების ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა მის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების არსებულ ღირებულებას შორის, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალები აღიარებულია მოგება-ზარალში და ასახულია დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული რეზერვების ანგარიშზე. გაუფასურებულ აქტივზე პროცენტი დარიცხვას აგრძელებს რეზერვების დისკონტირებული ღირებულების გაზრდით. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომი შემთხვევა განაპირობებს გაუფასურების ზარალის ოდენობის შემცირებას და თუ შემცირება შესაძლოა ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარ შემთხვევას, გაუფასურების ზარალის შემცირება კორექტირდება მოგება-ზარალში.

არა-ფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა, განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის საბალანსო ღირებულება ან მასთან დაკავშირებული ფულადი საშუალების გენერირებადი აქტივი აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივის ან ფულადი საშუალების გენერირებადი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისა, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დისკონტირებულია მიმდინარე ღირებულებამდე დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივისთვის ან ფულადი საშუალების გენერირებადი აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა შემოწმებაც ვერ მოხდა ინდივიდუალურად, ერთიანდება აქტივების მცირე ჯგუფებად. ეს ჯგუფები მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოძინებას, რომელიც დიდწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან ფულადი საშუალების გენერირებადი აქტივების მიერ წარმოქმნილი ფულადი შემოძინებებისგან. კომპანიის კორპორატიული აქტივები არ წარმოშობს ცალკე ფულად ნაკადებს და გამოყენებულია ერთზე მეტი ფულადი საშუალების გენერირებადი აქტივების მიერ. კორპორატიული აქტივები მიეკუთვნება ფულადი საშუალების გენერირებად აქტივებს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე, ხოლო მისი გაუფასურებაზე შემოწმება ხდება იმ ფულადი საშუალების გენერირებადი აქტივების შემოწმების ფარგლებში, რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

ნატალია სელიძე

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. ფულადი საშუალების გენერირებად აქტივებთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების ზარალი მიეკუთვნება აქტივების (ფულადი საშუალების გენერირებადი აქტივების ჯგუფი) საბალანსო ღირებულებას პროპორციულ საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრის დროს გამოყენებულ მაჩვენებლებში ადგილი ჰქონდა ცვლილებას. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ მოცულობამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რომელიც ექნებოდა აქტივს გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

ი) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მინის ბოთლების გაყიდვებიდან მოცემულ ეტაპზე, ე.ი. იმ დროს, როდესაც კლიენტების საქონელი დატოვებს კომპანიის საწყობს და კონტროლს გადასცემს და მიიღებს დასტურს კლიენტის მიერ. შემოსავალი აღიარდება, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადაეცემა მყიდველს, რომელიც იგზავნება კომპანიის შენობა-ნაგებობებიდან. ფასს 15-ის მიღებით ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია, რადგან კომპანიის მიმდინარე პრაქტიკა შეესაბამება ფასს 15-ს.

კ) კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საბანკო დეპოზიტებზე საპროცენტო შემოსავალს;
- ფინანსურ ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯს;
- ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტიდან მიღებულ მოგებას ან ზარალს;

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება მისი დარიცხვის მომენტიდან მოგება-ზარალში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. სესხთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიცირებადი აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, მოგება -ზარალში აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტიდან მიღებული მოგება და ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან როგორც ფინანსური ხარჯი იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაშია.

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ნუგზო სხიოძე

ლ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადთან დაკავშირებული ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგება-ზარალში იმ თანხის გამოკლებით, რომელიც უკავშირდება პირდაპირ საკუთარი კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ოპერაციებს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს მოსალოდნელ გადასახადს, რომელიც ექვემდებარება გადახდას ან მიღებას შესაბამისი წლის დასაბეგრ მოგებაზე ან ზარალზე, რომელიც გაანგარიშებულია საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე, და ასევე წინა წლებთან მიმართებაში გადასახდელი გადასახადის ნებისმიერ კორექტირებას.

2017 წლის 1-ლი იანვრიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება ეხება მოგების გადასახადს - გაანგარიშების და განაწილების მეთოდს. კერძოდ, თუ კომპანია არ აპირებს მოგების განაწილებას დივიდენდების სახით, მოგების გადასახადი იქნება 0%, ამრიგად ამ შემთხვევაში, არ არსებობს სხვა ნებისმიერი დროებითი განსხვავება ფინანსურ და მოგების გადასახადებს შორის, ვინაიდან საერთოდ არ არის მოგება გამოცხადებული.

მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15%.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი აღარ განიხილება 2017 წლის 1-ლი იანვრიდან.

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

დავით სხიძე

7. ფული და ფულის ექვივალენტები

31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი საშუალება შემდეგია:

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	1,156	2,061
ნაღდი ფული ბანკში	3,286,257	5,068,711
	<u>3,287,413</u>	<u>5,070,772</u>

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	8,029,898	8,434,441
საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვის	(214,376)	(261,653)
სავაჭრო დებიტორული დავალიანება, წმინდა	<u>7,815,521</u>	<u>8,172,788</u>
სხვა დებიტორული დავალიანება	23,375	491,729
	<u>7,838,896</u>	<u>8,664,517</u>

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

31 დეკემბრის მდგომარეობით მატერიალურ-საწარმოო მარაგები

შემდეგია:

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მზა პროდუქცია	4,358,270	4,961,055
ნედლეული და სახარჯი მასალები	12,925,323	12,570,830
	<u>17,283,593</u>	<u>17,531,885</u>

ნატალია სხიძე

10. ავანსები

31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წინასწარი გადახდილი გადასახადები	193,850	141,192
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	625,471	807,000
სხვა	-	5,465
	<u>819,320</u>	<u>953,658</u>

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე
ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობები	მანქანა დანადაგრები	საოფისე ინვენტარი	სატრ. საშუალებ.	სხვა	სულ
თავდაპირველი ღირებულება						
2016 წლის 31 დეკემბერს	28,090,146	63,596,666	1,023,181	323,127	336	93,033,455
საწყისი ნაშთი						
დანამატები	37,544	388,446	175,021	124,890	-	725,901
გადაცემა/ჩამოწერა	-	(43,716)	(12,073)	-	-	(55,789)
გადაფასება	-	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერს	28,127,690	63,941,396	1,186,129	448,017	336	93,703,567
დანამატები	-	376,684	684,168	22,876	-	1,083,729
გადაცემა/ჩამოწერა	-	(363)	-	-	-	(363)
გადაფასება	(8,823,389)	-	-	-	-	(8,823,389)
2018 წლის 31 დეკემბერს	19,304,300	64,317,718	1,870,296	470,893	336	85,963,543
საბოლოო ნაშთი						
დაგროვილი ცვეთა						
2016 წლის 31 დეკემბერს	4,032,124	28,727,518	683,931	297,270	177	33,741,020
საწყისი ნაშთი						
მიმდინარე ამორტიზაცია	3,166,137	5,516,940	164,287	52,451	112	8,899,927
ჩამოწერა	-	(43,454)	(11,851)	-	-	(55,305)
გადაფასება	-	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერს	7,198,261	34,201,004	836,367	349,721	289	42,585,642
მიმდინარე ამორტიზაცია	3,191,214	5,340,403	203,557	48,191	47	8,783,411
ჩამოწერა	-	(363)	-	-	-	(363)
გადაფასება	(9,573,515)	-	-	-	-	(9,573,515)
2018 წლის 31 დეკემბერს	815,960	39,541,043	1,039,924	397,912	336	41,795,175
საბოლოო ნაშთი						
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2016 წლის 31 დეკემბერს	24,058,0	34,869,149	339,249	25,857	159	59,292,435
2017 წლის 31 დეკემბერს	22	29,740,393	349,761	98,296	47	51,117,924
2018 წლის 31 დეკემბერს	20,929,429	24,776,675	830,372	72,981	0	44,168,367
	18,488,340					

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ნატალია სხიძე

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

31 დეკემბრის მდგომარეობით, აფილირებული პირების კრედიტორული დავალიანება:

	2018 წლის 31 დეკემბ. მდგომ.	2017 წლის 31 დეკ. მდგომ.
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები		
გაზგამანაწილებელი კომპანია	1,066,854	1,052,175
Ciner ic ve dis ticaret a.s	856,980	-
Omco istanbul kalip sanayi ve ticaret	502,014	-
ენერგოპრო ჯორჯია	343,413	333,155
ვატან პლასტიკ	126,179	243,209
Geo sand	43,226	-
Ankara katering	29,793	33,491
Meta muhendislik aritma kimya ins.san	26,825	-
Akvalat	26,755	32,268
Alltrale uluslararası tasimacilik ve ticar	20,077	-
სხვა სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	228,682	627,261
სულ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	3,270,799	2,321,559
სხვა კრედიტორული დავალიანება	164,333	160,296
	<u>3,435,132</u>	<u>2,481,855</u>

13. აფილირებული პირების კრედიტორული დავალიანება

31 დეკემბრის მდგომარეობით, აფილირებული პირების კრედიტორული დავალიანება შემდეგია:

	2018 წლის 31 დეკ. მდგომ.	2017 წლის 31 დეკ. მდგომ.
Şişecam Dış Ticaret A.Ş.	3,385,577	8,890,022
Anadolu Cam Sanauii A.S.	1,198,454	2,917,645
T.sese ve cam Fabrikalari A.S.	325,542	236,473
	<u>4,909,573</u>	<u>12,044,141</u>

14. სესხები და კრედიტები

31 დეკემბრის მდგომარეობით, პროცენტის სესხები და კრედიტები:

	2018 წლის 31 დეკ. მდგომ.	2017 წლის 31 დეკ. მდგომ.
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>		
<i>გრძელვადიანი კრედიტის მიმდინარე ნაწილი</i>		
IFC	7,886,027	7,824,657
Rabobank	-	-
<i>პროცენტის სესხები და კრედიტები</i>		
IFC	189,970	204,796
Rabobank	-	-
	<u>8,075,996</u>	<u>8,029,454</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>		
IFC	<u>10,500,507</u>	<u>17,994,057</u>
	<u>10,500,507</u>	<u>17,994,057</u>

ა) ვადები და დაფარვის გრაფიკი

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები:

სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან	ვალუტა	საპროც. განაკ.	ბოლო გადახდის თარიღი	გადაუხდელი მირი თანხა
საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია - IFC	USD	INDEX +2.9%	15-Oct-22	5,230,769
საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია - IFC	EUR	INDEX +2.6%	15-Oct-19	1,428,571

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ნაწილი სესხები

15. გაყიდვები

გაყიდვების მონაცემები 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	2018 წლისთვის	2017 წლისთვის
გაყიდვები შიდა ბაზარზე	50,648,241	47,983,783
საექსპორტო გაყიდვები	9,331,783	12,352,552
	<u>59,980,024</u>	<u>60,336,334</u>

გაყიდვები კლიენტის მიერ 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემდეგია:

	2018 წლისთვის	2017 წლისთვის
სს ბორჯომი	37,972,226	31,607,845
AnadoluCam sanayii a.s	6,561,088	7,351,517
სს ლომისი	3,560,626	7,283,075
სხვები (15%-ზე ნაკლები)	11,886,085	14,093,897
	<u>59,980,024</u>	<u>60,336,334</u>

16. თვითღირებულება

პროდუქციის თვითღირებულება 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	2018 წლისთვის	2017 წლისთვის
ნედლეული	18,743,042	19,917,823
ელექტროენერგია	17,150,804	17,564,214
ცვეთა	8,395,860	9,452,089
ხელფასები და დაკავშირებული	3,561,472	3,730,318
გადასახადები	903,892	1,242,332
საწარმოო ზედნადები ხარჯები	<u>48,755,070</u>	<u>51,906,777</u>

17. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები ხარჯები 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	2018 წლისთვის	2017 წლისთვის
ტექნიკური დამხარების და კონსულტაციის ხარჯები	1,914,802	1,289,902
თანამშრომლების ხელფასები და ხარჯები	1,807,529	1,745,339
ამორტიზაცია და ცვეთა	785,038	750,060
გაწეული მომსახურებები	685,670	1,468,087
მოსაკრებლები და გადასახადები	532,356	649,568
დაზღვევის ხარჯები	158,902	195,781
ტექნიკური მომსახურების ხარჯები	157,194	141,877
საწვავის ხარჯები	89,132	97,965
ელექტროენერგიის ხარჯები	38,085	38,085
წარმომადგენლობითი და ოფიციალური მიღების ხარჯები	34,459	55,908
კომუნიკაციის და ინფორმაციული ტექნოლოგიების ხარჯები	28,590	38,202
დიზიანის და სარეკლამო ხარჯები	205	17,694
სხვა ხარჯების ჯამი	647,379	429,977
	6,879,339	6,918,444

18. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

	2018 წლისთვის	2017 წლისთვის
მოგება საკურსო სხვაობიდან	(3,223,705)	(4,641,706)
საპროცენტო შემოსავალი	(110,600)	(43,674)
	(3,334,306)	(4,685,380)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	3,777,396	4,709,889
საპროცენტო და სასესხო ხარჯები	982,147	1,096,295
	1,425,237	1,120,804

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

დავით სხიძე

19. ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა სახის საფასო რისკებს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზანია რისკის ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ზეგავლენა არ გასცდეს აღნიშნული ლიმიტების ფარგლებს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვა ითვალისწინებს შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფას საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შემცირების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით მეორე მხარისთვის მიყენებული ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის პროდუქციის გაყიდვების შედეგად საკრედიტო პირობების ან კონტრაგენტთან გაფორმებული სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რაც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე აქტივების კლასის მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

	2018 წლის 31 დეკემ. მდგომ.	2017 წლის 31 დეკემ. მდგომ.
მომხმარებელთან ანგარიშსწორების ანგარიშები, ბრუტო (შენ 8)	8,029,898	8,434,441
ფული და ფულის ექვივალენტები (შენ 7)	3,287,413	5,070,772
საკრედიტო რისკის მთლიანი მაქსიმალური დონე	11,317,310	13,505,214

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაციები, ვინაიდან მომხმარებლის პორტფელი დივერსიფიცირებულია როგორც კერძო, ასევე იურიდიულ პირ მომხმარებლების დიდ ნაწილს შორის. იმის მიუხედავად, რომ დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც სცილდება კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში უკვე აღრიცხულ რეზერვებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკები წარმოიშობება ა) უცხოურ ვალუტებში და ბ) პროცენტიან ვალდებულებებში ღია პოზიციებიდან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება საერთო და კონკრეტულ საბაზრო კონიუნქტურას. ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს რისკის ღირებულებაზე, რომელიც შესაძლოა იყოს მიღებული. აღნიშნული ლიმიტების მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ გამოიცხადებს აღნიშნული ლიმიტების ფარგლებს გარეთ ზარალის დადგომას უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო კონიუნქტურის შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ეფუძნება ერთ-ერთი ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის შენარჩუნებით. ფაქტობრივად, ნაკლებად სავარაუდოა რომ ეს მოხდეს, ხოლო ზოგიერთი ფაქტორის ცვლილებები შესაძლებელია, რომ შესაბამისობაში იქნას მოყვანილი - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს რისკის დონეზე ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. რისკის პოზიციების მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის უცხოურ სავალუტო რისკთან მიმართებაში.

	2017 წლის 31 დეკემ მდგომ.		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	10,671,683	(1,780,869)	8,890,814
აშშ დოლარი	2,550,550	(29,306,427)	(26,755,878)
ევრო	282,982	(9,301,914)	(9,018,932)
სულ:	13,505,214	(40,389,210)	(26,883,996)

	2018 წლის 31 დეკ. მდგომ		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	10,903,784	(1,625,869)	9,277,915
აშშ დოლარი	257,792	(19,932,170)	(19,674,378)
ევრო	155,735	(5,198,837)	(5,043,102)
სულ:	11,317,310	(26,756,875)	(15,439,565)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევა, რომ ინვესტიციები კაპიტალში და არაფულადი აქტივები არ წარმოშობს რაიმე არსებით სავალუტო რისკებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მოქმედ გაცვლით კურსში გონივრულად მოსალოდნელ ცვლილებებთან მიმართებაში, კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან დაკავშირებით, რა დროსაც ყველა სხვა ცვლადი სიდიდე რჩება მუდმივი:

	2018 წლის 31 დეკ. მდგომ	2017 წლის 31 დეკ. მდგომ
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(1,967,438)	(2,675,588)
აშშ დოლარის შესუსტება 10%-ით	1,967,438	2,675,588
ევროს გამყარება 10%-ით	(504,310)	(901,893)
ევროს შესუსტება 10%-ით	504,310	901,893

რისკის ზეგავლენა გაანგარიშდა მხოლოდ ისეთი ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც დენომინირებული იყვნენ შესაბამისი კომპანიის ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტებში. კომპანიის მგრძნობელობა სავალუტო რისკის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ შეესაბამება წლის განმავლობაში არსებულ სტანდარტულ რისკის დონეს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია თავის თავზე იღებს რისკს, რომელიც უკავშირდება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი საშუალებების ნაკადებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების რყევას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის რისკების მიმართ. ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მთლიანი მოცულობა საბალანსო ღირებულებით, რომელიც კლასიფიცირებულია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის, გადაფასების ან დაფარვის თარიღების მიხედვით, ზემოაღნიშნულიდან რომელიც უფრო ადრე დადგება.

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ნათელი სხივი

	მოზოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ
სულ ფინანსური აქტივები	8,697,753	2,370,460	2,175,347	261,653	13,505,214
სულ ფინანსური ვალდებულებები	(2,321,559)	-	(20,073,595)	(17,994,057)	(40,389,210)
მგრძნობელობის სხვაობა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი 2017 წლის 31 დეკემბერს	6,376,194	2,370,460	(17,898,247)	(17,732,403)	(26,883,996)
სულ ფინანსური აქტივები	3,682,502	4,661,295	1,726,247	1,247,266	11,317,310
სულ ფინანსური ვალდებულებები	(3,270,799)	-	(12,985,569)	(10,500,507)	(26,756,875)
მგრძნობელობის სხვაობა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი 2018 წლის 31 დეკემბერს	411,703	4,661,295	(11,259,322)	(9,253,241)	(15,439,564)

კომპანიას არ აწარმოებს ოფიციალურ პოლიტიკებს და პროცედურებს საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვასთან დაკავშირებით, ვინაიდან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნული რისკი კომპანიის საქმიანობისთვის უმნიშვნელოა.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების დროს. კომპანია ექვემდებარება რისკს, რომელიც უკავშირდება საკუთარი ფულადი რესურსების გამოყენებას ყოველდღიური ანგარიშსწორებების განხორციელებისთვის.

ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს ფულადი საშუალებების ნაკადების ყოველთვიურ მცურავ პროგნოზებს.

ხელმძღვანელობა აფასებს შესაძლებელია თუ არა ფულადი საშუალებების და საბანკო დეპოზიტების ლიკვიდობის პორტფელი რეალიზებული იქნას ფულად საშუალებად ერთი დღის განმავლობაში იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს გაუთვალისწინებელი ლიკვიდობის მოთხოვნები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები კონტრაქტით გათვალისწინებული დაფარვის დარჩენილი ვადის მიხედვით. დაფარვის ცხრილში მოცემული თანხები წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. როდესაც ფიქსირებული არ არის გადასახდელი თანხა, ასახული თანხა განსაზღვრულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე მითითებით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები კონვერტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ფიქსირებული სპოტ-კურსის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადასთან დაკავშირებული ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ნ. ცაიშვილი

	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ
სესხები	-	-	8,029,454	17,994,057	26,023,510
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,321,559	-	12,044,141	-	14,365,700
მგრძნობელობის სხვაობა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი 2017 წლის 31 დეკემბერს	2,321,559	-	20,073,595	17,994,057	40,389,210
სესხები	-	-	8,075,996	10,500,507	18,576,503
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,270,799	-	4,909,573	-	8,180,372
მგრძნობელობის სხვაობა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი 2018 წლის 31 დეკემბერს	3,270,799	-	12,985,569	10,500,507	26,756,875

20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც შეფასებული არ არის სამართლიანი ღირებულებით, თუმცა რომლებთან დაკავშირებითაც სამართლიანი ღირებულება ასახულია.

სამართლიანი ღირებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიაში გაანალიზებულია დონეების მიხედვით, და იმ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც შეფასებული არ არის სამართლიანი ღირებულებით, შემდეგია:

	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5,070,772	-	-	5,070,772
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	-	8,434,441	-	8,434,441
სულ აქტივები	5,070,772	8,434,441	-	13,505,214
ვალდებულებები				
სესხები	-	-	26,023,510	26,023,510
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	-	14,365,700	-	14,365,700
სულ ვალდებულებები	-	14,365,700	26,023,510	40,389,210

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	3,287,413	-	-	3,287,413
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	-	8,029,898	-	8,029,898
სულ აქტივები	3,287,413	8,029,898	-	11,317,310
ვალდებულებები				
სესხები	-	-	18,576,503	18,576,503
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	-	8,180,372	-	8,180,372
სულ ვალდებულებები	-	8,180,372	18,576,503	26,756,875

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ნატალია სხიძე

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. მცურავი განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ჩვეულებრივ წარმოადგენს მათ საბალანსო ღირებულებას. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელიც დისკონტირებული იქნება ახალ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მოქმედი მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად, იმავე საკრედიტო რისკით და დაფარვის ვადით. გამოყენებული დისკონტის განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. შენარჩუნებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა მოხდა სატენდერო წინადადების ფასების საფუძველზე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის და განსაზღვრული დაფარვის ვადის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელთან დაკავშირებითაც არ არსებობს კოტირებული ფასი, შეფასდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია ახალ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მოქმედი მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად, იმავე საკრედიტო რისკით და დაფარვის ვადით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების და სხვა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მოკლევადიანი დაფარვის ვადიდან გამომდინარე თითქმის სამართლიანი ღირებულებების თანაბარია.

21. საკუთარი კაპიტალი

კომპანია აღიარებული იქნა, როგორც ღია სააქციო საზოგადოება 1997 წელს განხორციელებული პრივატიზაციის შემდეგ. ამ დროისთვის კომპანიას გამოშვებული აქვს 15,121,856 აქცია თითოეული ნომინალური ღირებულებით - ერთი ლარი. 2011 წელს კომპანიამ გამოუშვა 1,980,031 აქცია თითოეული ნომინალური ღირებულებით - ერთი ლარი. გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებასა და აქციონერთა მიერ გადახდილ ფაქტობრივ თანხებს შორის სხვაობა შეადგენს 3,484,317 ლარს.

2018 წელს კომპანიამ განახორციელა ძირითადი საშუალებების გადაფასება. გადაფასების რეზერვის მიმდინარე ბალანსი შეადგენს 25,841,205 ლარს.

22. შემდგომი მოვლენები

საბალანსო ანგარიშგების თარიღის შემდეგ ადგილი არ ჰქონია არანაირ შემთხვევას..

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ნეკო სხიძე

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N191144047



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

18.09.2019 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ჯულიეტა არჩვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ.თბილისი, ლესელიძის ქ.#4

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

99-73-85

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

53216681552219



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ცხრამეტი წლის თვრამეტ სექტემბერს, მე, ნოტარიუსი ჯულიეტა არჩვაძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, კ.აფხაზის ქ.4 (ყოფ.ლესელიძის ქ.4), ვადასტურებ თარჯიმნის ნატალია სარალიძის (დაბადებული 10.09.1976წ. თბილისში, პირადი №01017013399, მცხ.თბილისი, მელიქიშვილის ქ.4/6; დიპლომი B № 00502 გაცემული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1998წ. რ№01/66) მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობას დოკუმენტის თარგმანზე, 30-გვერდზე /დედანი სანოტარო ბიუროში წარმოდგენილი არ არის, თარგმანი შესრულებულია წარმოდგენილი ფოტოასლიდან/. მე, ნოტარიუსმა, გავაფრთხილე თარჯიმანი რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე. მან დაადასტურა რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებების (29 დეკემბერი 2011წ. №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა 60-00 ლარი. აგრეთვე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებების (29 დეკემბერი 2011წ.) 39-ე მუხლის I პუნქტისა. სულ გადახდილია 62-00 ლარი.

ნოტარიუსი ჯულიეტა არჩვაძე



**სს „მინა“
მმართველობის ანგარიშგება**

2018 წელი

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია.	3
1.1 სს მინას გენერალური დირექტორის მიმართვა.	3
1.2 კომპანიის მოკლე ისტორია.	5
2. საქმიანობის შედეგები.	6
2.1 წარმოება.	6
2.2 გაყიდვები.	9
2.3 ფინანსური შედეგები.	11
3. სამოქმედო ბაზრები და კონკურენტული მდგომარეობა ბაზარზე.	15
4. კომპანიის განვითარების გზები.	19
4.1 საწარმოო სიმძლავრის ზრდა.	19
4.2 წარმოების ეფექტიანობის ზრდა.	20
4.3 დანახარჯების ოპტიმიზაცია და ფინანსური კონტროლი.	21
4.4 ადამიანური რესურსების სრულყოფა.	22
5. საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები.	22
6. კომპანიის მართვა.	27
7. ადამიანური რესურსები და სოციალური აქტივობა.	29
8. გარემოს დაცვა.	35

1.1 სააქციო საზოგადოება „მინას“ გენერალური დირექტორის მიმართვა.

კომპანია მუდმივად განიცდის განახლებას, ინერგება ახალი თანამედროვე ტექნოლოგიები, იხვეწება პროდუქციის მხატვრული სახე, სულ უფრო მეტად სრულყოფილი ხდება როგორც წარმოების პროცესი, ასევე მის მიერ განხორციელებული სერვისი.

საზოგადოება აღჭურვილია მინის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიით და შესაძლებლობა აქვს აწარმოოს 200-დან 1500 მილი ლიტრამდე ნებისმიერი სირთულის პროდუქცია. ეს იქნება მინერალური წყლის, ღვინის, შამპანურის, ლუდის, სპირტიანი და გამაგრილებელი სასმელების მინის ბოთლი. საზოგადოება აწარმოებს როგორც მუქი ფერის (მწვანე, მუქი მწვანე), ასევე ღია ფერის (ღია ცისფერი, ღია მწვანე) პროდუქციას. საზოგადოებას შეუძლია დაამზადოს პროდუქცია მომხმარებლის მიერ შერჩეული დიზაინის და ნახაზის მიხედვით. კომპანია აწარმოებს 140 სახეობის მინის ბოთლებს და ქილებს.

სს მინა კვალიფიციური მუშახელის და თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, აწარმოებს მაღალი ხარისხის მინის ტარას, შესაბამისად ქართულ კომპანიებს საშუალება ეძლევათ წარმატებით აწარმოონ თავიანთი ბიზნესი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

სს მინა მაქსიმალურად არის ორიენტირებული მომხმარებლის ინტერესებზე: „ჩვენი კლიენტი ჩვენი ბიზნეს-პარტნიორია“, ამისათვის ინტენსიურად ტარდება კვლევები მომხმარებლის სამომავლო მოთხოვნების განსასაზღვრად. საზოგადოება განუწყვეტლივ მუშაობს პროდუქციის ხარისხის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე, რათა უზრუნველყოს მომხმარებლის მოთხოვნები დღეისათვის და სამომავლოდ. სს მინა მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების სრულ ციკლს ბოთლის ორიგინალური დიზაინის შემუშავებიდან - მზა პროდუქციის ადგილზე მიწოდების ჩათვლით.

საკუთარი რკინიგზის ჩიხი, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და გეოგრაფიული მდებარეობა, ხელს უწყობს და აადვილებს მომხმარებელთან და მომწოდებლებთან კომუნიკაციას და ტვირთების მიწოდებას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი ამიერკავკასიის რეგიონში.

სს „მინა“ სოციალურად ორიენტირებული კომპანიაა, რომლის ძირითად ფასეულობას წარმოადგენენ მისი თანამშრომლები. კომპანია თანამშრომლებს უზრუნველყოფს სოციალური პროგრამების ფართო ჩამონათვალით, რომელიც გათვალისწინებულია,

როგორც მოქმედი კანონმდებლობით, ისე დამატებითით. სს „მინას“ სოციალური პოლიტიკა მიმართულია თანამშრომლების ცხოვრების ღირსეული დონის და საზოგადოების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფაზე.

ს.ს მინა პატივს სცემს დასაქმებულის სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის არსებულ ბალანსს და ადამიანური რესურსების პროგრამას შესაბამისად ახორციელებს. მას გააჩნია კომუნიკაციის ისეთი პლატფორმები, სადაც გათვალისწინებულია თანამშრომლის წინადადებები და მოლოდინები. ის აკვირდება თანამშრომლის დაკავებულობას და კმაყოფილებას კვლევების მეშვეობით. კომპანია უწყვეტი სახით აუშუქებს მეთოდებს, რომელიც ხელს უწყობს ჩართულობას და პოზიტიური სამუშაო ადგილების არსებობას. ის უზრუნველყოფს ჯანსაღ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს, სადაც კორპორატიული ღირებულებები გათვალისწინებულია.

კომპანია ახორციელებს ღონისძიებებს თანამშრომელთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შრომის უსაფრთხო და კომფორტული პირობების უზრუნველსაყოფად; პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფისთვის; ჯანმრთელობის დასაცავად და ცხოვრების ჯანმრთელი წესის მხარდასაჭერად.

შიშეტანის ჯგუფის წევრობა, სს მინას საშუალებას აძლევს დროულად მიიღოს მსოფლიოს მასტაბით მინის წარმოებაში დანერგილი ტექნოლოგიური და სხვა სახის სიახლეები. სწორედ ამის გამო გამოირჩევა მაღალი ხარისხით სს მინას პროდუქცია, რაც ადგილობრივ და რეგიონალურ ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის ძირითადი საფუძველია.

2017 წელს შიშეტანის შვილობილ კომპანიას „ანალოლუ ჯამ სანაის“ და სს მინას შორის გაფორმდა ხელშეკრულებები „ლიცენზირების შესახებ“ და „მართვის მომსახურების შესახებ“.

ხელშეკრულება ლიცენზირების შესახებ სს მინას საშუალებას აძლევს მიიღოს და გამოიყენოს სავაჭრო ნიშნები და ახალი ტექნოლოგიები, პროდუქციის დიზაინი, წარმოება, ტესტირება და მოდელი, დიზაინი, მასალის სპეციფიკაცია და საწარმოო ნახაზები, დამუშავებისა და წარმოების ცოდნა, სპეციფიკაციები, ტესტირების ტექნიკა, ანგარიშები, ინვენტარი და სხვა ინფორმაცია და მონაცემები, რომელიც შიშეტანის კვლევით ლაბორატორიებში მიიღება.

ხელშეკრულება „მართვის მომსახურების შესახებ“ სს მინას საშუალებას აძლევს დანერგოს მართვის უახლოესი მოდელეები, რაც შემდგომი წარმატების საწინდარია.

კომპანიის მენეჯმენტის საქმიანობა მიმართული იყო საზოგადოების სტაბილურობის და მომგებიანობის, ასევე აქციონერთა ინტერესების დაცვაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

სს „მინას“ მუშაობის პრიორიტეტი მომავალ წელსაც იქნება კომპანიის განვითარების უზრუნველყოფა, დამატებითი სერვისების განვითარების საშუალებით მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე.

ვვარაუდობთ, რომ მენეჯერთა ჩამოყალიბებულ ეფექტურ გუნდს და კოლექტივს გააჩნიათ საკმარისი პოტენციალი იმისათვის, რომ გადაჭრან დასახული ამოცანები მომავალ წლებშიც.

1.2 კომპანიის მოკლე ისტორია

სს მინამ ფუნქციონირება დაიწყო 1987 წლის ივლისში ქსნის მინის ტარის ქარხნის სახელწოდებით. იმ პერიოდისათვის ეს იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში დარგის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და თანამედროვე ქარხანა 3 ღუმელითა და 8 საწარმოო ხაზით. გამოყენებული იყო იტალიური ტექნოლოგიები.

1995 წელს ეწოდა სააქციო საზოგადოება “მინა” (100% სახელმწიფო წილით).

1997 წელს კომპანიის აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა თურქულმა სამრეწველო ჰოლდინგმა შიშეჯამმა (ლინკი: www.sisecam.com), რომელიც შედის მსოფლიოში მინის მწარმოებელი კომპანიების პირველ ექვსეულში, 4 მილიარდ დოლარზე მეტი წლიური გაყიდვების მოცულობით და აერთიანებს 60-ზე მეტ შვილობილ კომპანიას, დასაქმებულია რაოდენობა კი აღწევს 20 ათას. კაცს.

სხვადასხვა დროს კომპანიის აქციონერები იყვნენ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

2010 წლიდან სს მინას აქციების 100%-ს ფლობს კომპანიათა ჯგუფი ანადოლუ ჯამ სანაი (ლინკი www.anadolucam.com.tr), რომელიც ჩამოყალიბდა 2000 წელს და გააერთიანა შიშეჯამის ჯგუფში შემავალი მინის ტარის მწარმოებელი კომპანიები.

მუშეჯამის ჯგუფის პირველი ეტაპის ინვესტიციებით განხორციელდა არსებული მინის სახარში ღუმელისა და ორი საწარმოო ხაზის რეკონსტრუქცია და გადაიარაღება. კომპანიამ წარმოება განაახლა 1998 წლის ივლისში წლიური 18 ათასი ტონა სიმძლავრით.

2000 წლიდან შეინიშნებოდა ბაზრის მოთხოვნის სტაბილური ზრდა, რომლის დაკმაყოფილების მიზნითაც მიღებული იქნა საინვესტიციო გადაწყვეტილება და 2002 წლის 7 ნოემბერს ამოქმედდა მეორე (ახალი) ღუმელი ორი საწარმოო ხაზით, წლიური 30 ათასი ტონა სიმძლავრით. ამრიგად ქარხნის მთლიანი წლიური სიმძლავრე გაიზარდა 48 ათას ტონამდე (მზა პროდუქციის საშუალო რაოდენობა).

2014 წლის პირველ ნახევარში კომპანიამ საწარმოს სიმძლავრის გაორმაგების მიზნით განახორციელა 32 მლნ ლარის ინვესტიცია. კომპანია აღიჭურვა უკანასკნელი ტექნოლოგიებით მინის ინდუსტრიაში. ახალი ღუმელი, ახალი მანქანა ზახები საშუალებას გვაძლევს წლიური სიმძლავრე გაიზარდოს 65,000 ტონა ნეტო პროდუქტამდე.

საწარმომ, თავისი არსებობის მანძილზე, სერიოზული წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის საქმეში ყოველწლიური სოლიდური შენატანებით ბიუჯეტში, სამუშაო ადგილების შექმნით, ქართველი და უცხოელი მომხმარებლის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფით.

2. საქმიანობის შედეგები

2.1 წარმოება

მინის წარმოება ხასიათდება რთული ტექნოლოგიური რეჟიმით და უწყვეტი ციკლით. ამჟამად სს მინაში ფუნქციონირებს ორი მინის სახარში ღუმელი და ოთხი მინის დამყალიბებელი მანქანა-ხაზი. 2014 წელს განხორციელებული ინვესტიციის საფუძველზე, აშენდა მეორე მინის სახარში ღუმელი და წარმოების მოცულობა მკვეთრად გაიზარდა.

მინის წარმოებისათვის გამოიყენება შემდეგი ძირითადი ნედლეული:

- კვარცის ქვიშა;
- კალცინირებული სოდა;
- დოლომიტი;
- კირქვა.

კალცინირებული სოდის გარდა, ყველა ნედლეული მოიპოვება საქართველოში. კალცინირებული სოდა შემოდის ბულგარეთიდან და თურქეთიდან.


ნედლეულიდან მზადდება კაზმი. კაზმი არის ზემოთ მოცემული ნედლეულების ნაზავი, მკაცრად განსაზღვრული თანაფარდობით. კაზმი მიეწოდება მინის სახარში ღუმელებს,

რომელიც მუშაობს უწყვეტი ციკლით მაღალი ტემპერატურების რეჟიმში, 1100-1200 გრადუსზე ცელსიუსით. თითო ლუმელის დადგმული სიმძლავრე (ნარმადობა) დღე-ღამეში შეადგენს 100 ტონას. კომპანიის წლიური დადგმული სიმძლავრე შეადგენს 73,000 ტონას.

2018 წელს მოიხარმა 76,971 ტონა მინა. ნარმადობის ზრდა გამოწვეულია ლუმელიდან ზეგეგმიური მოხსნის შედეგად (24 საათში 200 ტონის ნაცვლად 211 ტონა). ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით სს მინამ შეძლო მოეხარმა მეტი პროდუქცია, ვიდრე დადგმული სიმძლავრით იყი გათვალისწინებული.

კომპანიამ მოხარშული მინიდან მიიღო მზა პროდუქცია - 58,813 ტონა. საანგარიშო პერიოდში დამზადდა სხვადასხვა მოცულობის 33 სახეობის მინის ტარის პროდუქცია, ხოლო გაყიდულია 51 სახეობის პროდუქცია.

მზა პროდუქციის წარმოება წლების მიხედვით



სს მინა აღრიცხვას აწარმოებს როგორც ცალობით, ასევე ტონაჟით. მზადდება სხვადასხვა მოცულობის მინის ტარა. შესაბამისად ცალობით აღრიცხვა, არ გვაძლევს


სწორ ინფორმაციას სხვადასხვა პერიოდის ურთიერთშედარების დროს. ამიტომ დარგში მიღებულია - ტონა, ანალიზის და ანგარიშგების ერთეულად.

2018 წელს სს მინამ დაამზადა 3,292 ტონით ნაკლები მინის ტარის პროდუქცია, ვიდრე გასულ წელს. კომპანია სრულად იყენებს დადგმულ სიმძლავრეს, მაგრამ წარმოების მოცულობა განპირობებულია საქართველოს და რეგიონის ბაზარზე არსებული მოთხოვნილებით.

წარმოების ეფექტიანობა (მოხარშული მინიდან მიღებული მზა პროდუქციის მოცულობა) 76,4%-ია.

წარმოების ეფექტიანობა ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია მინის წარმოებაში. იგი თვითღირებულების შემცირების მნიშვნელოვანი შიდა რეზერვია. შესაბამისად წარმოების ეფექტიანობის ზრდა სს მინას მთავარი გამოწვევაა და ტარდება მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებები, მის გასაუმჯობესებლად (იხილეთ თავი 4.2).

წარმოების ეფექტიანობა წლების მიხედვით



წარმოების ეფექტიანობაზე დიდ გავლენას ახდენს ფერის ცვლის და წარმოებული პროდუქციის სახეობების რაოდენობა, რაც ყოველწლიურად მოთხოვნის შესაბამისად

სისტემატიურად იზრდება. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ წლების მიხედვით წარმოების ეფექტიანობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

2.2 გაყიდვები


2018 წელს გაყიდულია 59,882 ტონა მინის პროდუქცია. საშუალო თვიურმა გაყიდვებმა შეადგინა 4,990 ტონა. ყველაზე მეტი გაყიდვები განხორციელდა მარტის თვეში - 6,099.56 ტონა. მინიმალური გაყიდვები აღინიშნა იანვარში - 3,989.77 ტონა.

ადგილობრივ ბაზარზე კომპანიამ გაყიდა 51,118 ტონა მინის ტარა, რაც შეადგენს საერთო გაყიდვების 85%-ს. ადგილობრივი გაყიდვები ძირითადად მოდიოდა მინერალური წყლების, ღვინის ჩამომსხმელი, ლუდის, საკვები პროდუქტების და გამაგრილებელი სასმელების სექტორზე.

ექსპორტირებულია 8,764 ტონა მინის ტარა. ქვეყნის გარეთ რეალიზებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი მოდის მინერალური წყლებისა და ღვინის სექტორზე.

კომპანიის მთლიანი გაყიდული პროდუქციის 15% ექსპორტზე გაიყიდა. მინის ტარა იყიდება აზერბაიჯანში, თურქეთში, ევროკავშირში.

მინის პროდუქციის გაყიდვები წლების მიხედვით



რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის პირობებში მინის ტარის პროდუქციის გაყიდვები სტაბილურად იზრდება, ყოველწლიურად საშუალოდ 20 %-ით. 2018 წელს წინა წელთან შედარებით გაყიდვები უმნიშვნელოთ შემცირდა 12 %-ით .ანალოგიური მდგომარეობაა მინის ტარის პროდუქციის სექტორების მიხედვით.

მინერალური წყლების სექტორზე პროდუქცია, საანგარიშო პერიოდში წინა წელთან შედარებით, 4 %-ით მეტი გაიყიდა. ღვინის სექტორზე - 28 %-ით შემცირდა, ხოლო ბოლო ორი წლის მანძილზე გაყიდვები გაიზარდა 1,5-ჯერ და მეტად. უალკოჰოლო და გამაგრილებელი სასმელების სექტორზე მინის ტარის პროდუქციის გაყიდვა, წინა წელთან შედარებით ორჯერ შემცირდა, მინერალური წყლების სექტორში მოთხოვნის ზრდის გამო.

კომპანიის მთლიან გაყიდვების 72.9 % მინერალური პროდუქციის სექტორზე მოდის. სს მინას ძირითადი მომხმარებლები არიან აიდიეს ბორჯომი საქართველო და სს წყალი მარგებელი (ნაბეღლავი), რომელთაც დომინირებული მდგომარეობა უჭირავთ

საქართველოს მინერალური წყლების ბაზარზე. ღვინის სექტორზე გაიყიდა მთლიანი გაყიდვების 18.8 %, ხოლო დანარჩენი სექტორების წილი მთლიან გაყიდვებში მხოლოდ 8.3 %-ია. სექტორების მიხედვით პროდუქციის არსებული განაწილება, განპირობებულია საქართველოს და რეგიონის ბაზარზე არსებული მოთხოვნილებით.

2.3 ფინანსური შედეგები.

კომპანიის 2018 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2018 წლის მდგომარეობით	2017 წლის მდგომარეობით
შემოსავლები	59,980,024	60,336,334
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	48,755,070	51,906,777
მთლიანი მოგება	<u>11,224,954</u>	<u>8,429,558</u>
საოპერაციო ხარჯები	6,879,339	6,918,444
ოპერაციებიდან მიღებული მოგება	<u>4,345,615</u>	<u>1,511,113</u>
სხვა მოგება/ზარალი	128,703	302,080
ფინანსური შემოსავლები და ხარჯები	1,425,237	1,120,804
მოგება გადასახადებამდე	<u>3,049,080</u>	<u>692,389</u>
მოგების გადასახადი		-
სუფთა მოგება	<u>3,049,080</u>	<u>692,389</u>

2018 წელს გაყიდვების შედეგად მიღებული ამონაგები თითქმის იგივეა, რაც წინა წელს. მიუხედავად ამისა, შემოსავალი გაყიდვებიდან (მთლიანი მოგება) 33.16%-ით გაიზარდა. ძირითადი მიზეზებია:

- მუდმივი ხარჯების შემცირება;
- თვითღირებულების ოპტიმიზაცია;

2017 წელს მოგება გაყიდვებიდან 14%-ს შეადგენდა, ხოლო 2018 წელს - 18,71%.

კომპანიამ წელი მოგებით დაამთავრა - 3,049 ათასი ლარი, მაშინ როდესაც გასულ წელს მხოლოდ 692 ათასი ლარი შეადგინა. სუფთა მოგება 4-ჯერ გაიზარდა, რაც კომპანიის წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
აქტივები		
მიმდინარე აქტივები:		
ნაღდი ფული და მათი ექვივალენტები	3,287,413	5,070,772
სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები	7,838,896	8,664,517
მარაგები	17,283,593	17,531,885
გადახდილი ავანსები	819,320	953,658
სულ მიმდინარე აქტივები:	<u>29,229,222</u>	<u>32,220,832</u>
ძირითადი საშუალებები	44,168,367	51,117,924
არამატერიალური და სხვა აქტივები	166,756	62,033
სულ ჯამი:	<u>73,564,346</u>	<u>83,400,789</u>
ვალდებულებები და მფლობელთა კაპიტალი		
მიმდინარე ვალდებულებები:		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	3,435,132	2,481,855
მიღებული ავანსები	235,677	231,614
სესხები და პროცენტები	8,075,996	8,029,454
დაკავშირებული მხარეები	4,909,573	12,044,141
მიმდინარე ვალდებულებები ჯამში:	<u>16,656,378</u>	<u>22,787,063</u>
გრძელვადიანი სესხები	10,500,507	17,994,057
მფლობელთა კაპიტალი:		
სააქციო კაპიტალი	17,101,887	17,101,887
გაუნაწილებელი მოგება	(19,948)	(3,069,029)
აქციათა პრემიუმი	3,484,317	3,484,317
გადაფასების რეზერვი	25,841,205	25,137,534

სულ ჯამი:

73,564,34683,400,789

სს მინას მიმდინარე აქტივები შემცირდა 2,992 ათასი ლარით. ძირითადი მიზეზია ფულადი სახსრების და სავაჭრო მოთხოვნების შემცირება.

სს მინას გრძელვადიანი აქტივები შემცირდა 6,845 ათასი ლარით, დარიცხული ცვეთის ხარჯზე. საზოგადოებას საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ინვესტიციები არ განუხორციელებია.

სს მინამ 2018 წელს წინა წელთან შედარებით შეამცირა მოკლევადიანი ვალდებულებები 6,131 ათასი ლარით. მათ შორის ვალდებულებები დამფუძნებლების მიმართ - 7,134 ათასი ლარით.

სს მინამ 2014 წელს, საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებით, აიღო სესხი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან (IFC) . სესხის დაფარვა დაიწყო 2016 წელს. საანგარიშო პერიოდში ხელშეკრულების შესაბამისად კომპანიამ დაფარა სესხის გარკვეული ნაწილი და დავალიანება შემცირდა 7,447 ათასი ლარით.

2018 წელს კომპანიამ განახორციელა ძირითადი საშუალებების გადაფასება. გადაფასების შედეგად დაკორექტირდა წინა წლების გადაფასების შედეგი. გადაფასების რეზერვი გაიზარდა 703,671 ლარით და მიმდინარე ბალანსი შეადგენს 25,841,205 ლარს.

ლიკვიდურობის მაჩვენებლები

	2018	2017
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,20	0.22
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,72	0.64
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1,75	1.41

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2018 წლის შედეგების მიხედვით თითქმის გასული წლის ანალოგიურია. შესაბამისად კომპანიას აქვს მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობები.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0,64-დან 0,72-მდე გაიზარდა. გაუმჯობესდა მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობები

ამდენად, 2018 წელს კომპანიის ლიკვიდურობის მაჩვენებლები, წინა წელთან შედარებით, გაუმჯობესდა და იგი დარგში არსებულ საშუალო მაჩვენებლის შესაბამისია.

რენტაბელობის მაჩვენებლები

	2018	2017
<i>გაყიდვების რენტაბელობა</i>	<i>0,19</i>	<i>0.01</i>
<i>საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)</i>	<i>0,07</i>	<i>0.02</i>
<i>ერთიანი აქტივების რენტაბელობა (ROA)</i>	<i>0,04</i>	<i>0.01</i>

როგორც ვხედავთ 2017 წელს კომპანია რენტაბელობა მინიმალური იყო. გატარებული ღონისძიებების შედეგად 2018 წელს გაყიდვების რენტაბელობა 0,01-დან 0,19-მდე გაიზარდა. ასევე გაიზარდა საკუთარი კაპიტალის და აქტივების რენტაბელობა.

ფინანსური დამოუკიდებლობის მაჩვენებლები

	2018	2017
<i>ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი</i>	<i>0,63</i>	<i>0.52</i>
<i>საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობა</i>	<i>1.71</i>	<i>1,10</i>

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი 2018 წლის შედეგების მიხედვით გაიზარდა 0,52-დან 0,63-მდე. ანუ საკუთარი სახსრების წილი კიდევ უფრო გაიზარდა დაფინანსების წყაროების მთლიან ჯამში.

საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი 1,10-დან 1,71-მდე გაიზარდა. შესაბამისად კომპანიის ფინანსური მდგომარეობა საიმედოა.

ფინანსური მაჩვენებლების დეტალური ანგარიში იხილეთ „სს მინას 2018 წლის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში“.

3. სამოქმედო ბაზრები და კონკურენტული მდგომარეობა ბაზარზე.

სს მინა სისტემატიურად ეწევა სამოქმედო ბაზრების კვლევას და კონკურენტული მდგომარეობის ანალიზს. იგი კომპანიის საქმიანობის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ინფორმაციის ფლობა ბაზარზე სასიცოცხლოთ მნიშვნელოვანია სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების და საინვესტიციო საქმიანობის პროცესში.

კომპანიას განსაზღვრული აქვს ბაზრის კვლევის პრიორიტეტები:

- ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენა;
- იმპორტისა და ადგილობრივი წარმოების მონაცემებისა და ბაზრის წილის შედარებითი ანალიზი;
- ბაზრის სექტორების კვლევა და კონკურენტული გარემო;
- ძირითადი მომხმარებლები და მათი მოთხოვნების ანალიზი.

კომპანიას განსაზღვრული აქვს გეოგრაფიული საზღვრები: საქართველო; კავკასიის რეგიონი; თურქეთი; ევროკავშირი. სს მინას მიერ წარმოებული პროდუქცია - მინის ტარა, ხასიათდება ბაზრის გეოგრაფიული შეზღუდულობით. საქონლის ფასის სიმცირის გამო შორეულ ბაზრებზე შესვლა და ადგილის დამკვიდრება ძნელია. ტრანზაქციული ხარჯების (ტრანსპორტი, ტარიფები, გადასახადები) სიდიდე, პროდუქციას არაკონკურენტუნარიანს ხდის.

ბაზრის წილის შედარებით ანალიზი ხდება სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოკითხვებით, ბაზარზე ჩატარებული დაკვირვებით და სხვა საშუალებებით.

2014 წელს ბაზრის მოთხოვნა შეადგენდა 101 ათას ტონას, მაგრამ 2014 წლის ბოლო კვარტალში დაწყებული დევალვაციის, შემდგომ კი რუსეთსა და უკრაინას შორის დაწყებული პოლიტიკური დაძაბულობის გამო მოთხოვნა შემცირდა და 2015 წელს 66 ათას ტონამდე ჩამოვიდა. 2015 წლიდან ბაზრის მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება ყოველწლიურად, საშუალოდ 20%-ით. კომპანიის წილი ბაზარზე 2017 წელს - 55%-დან, 2018 წელს 46%-მდე შემცირდა.

მინის ტარის საერთო ბაზრის მოცულობის შესაბამისად იცვლება მოთხოვნა სექტორების მიხედვითაც.

მიუხედავად ბაზარზე საერთო წილის შემცირებისა, მინერალური წყლების სექტორზე, კომპანიის წილი (100%) არ მცირდება. მინერალური წყლების სექტორში სს მინას დომინირებული პოზიცია უკავია. მინერალური წყლების მომხმარებლების პროდუქცია, ძირითადად ექსპორტზე გადის. ამდენად, ისინი დაინტერესებულნი არიან მაღალხარისხიანი მინის ტარით, რაც სს მინას პრიორიტეტია ადგილობრივ ბაზარზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ კომპანია შეინარჩუნებს დომინირებულ მდგომარეობას ბაზარზე მომავალ წლებშიც.

2016 წლიდან დაწყებული ღვინის ექსპორტის ზრდის ტენდენცია 2018 წელსაც გრძელდება. ტრადიციულად ექსპორტის ქვეყნებს შორის პირველ ადგილს რუსეთი იკავებს, მეორე/მესამე ადგილს - ჩინეთი და უკრაინა. ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩინეთის რესპუბლიკაში ღვინის ექსპორტი თითქმის ოთხჯერ გაიზარდა. შესაბამისად ძალიან დიდი პოტენციალის მქონე ჩინეთის ბაზარი სტრატეგიულ ბაზრად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნულიდან გამომდინარე სს მინა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ღვინის ბაზარზე პოზიციის გაუმჯობესების საკითხს. სს მინა მუშაობს ღვინის ბაზრის ყველა სეგმენტზე, როგორც მსხვილ მომხმარებლებზე, ასევე წვრილ მწარმოებლებზე და საოჯახო მეურნეობებზე.

ამჟამად ღვინის პროდუქციაში ჩვენი წილი დაბალია, რასაც ფასების დონე, არსებული კონკურენტული გარემო და ბაზრის მთლიან მოთხოვნასთან მიმართებაში საწარმოო სიმძლავრის არა საკმარისობა განაპირობებს. საქართველოს ეკონომიკა ლიბერალიზაციის საკმაოდ მაღალი დონით და საკანონმდებლო ბარიერების სიმცირით ხასიათდება. ლიბერალიზაცია კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის გარეშე წარმატებული ვერ იქნება. საქართველოში ბაზარზე შესვლის და დემპინგის წინააღმდეგ კანონმდებლობის არ არსებობის გამო, სს მინა არასამართლიან კონკურენტულ გარემოში აღმოჩნდა (იხ. თავი რისკები).

სს მინა საქართველოში ერთადერთი მინის ტარის მწარმოებელი კომპანიაა. მიუხედავად ამისა ბაზარზე კონკურენცია ძალიან მაღალია. შიდა ბაზარზე, სს მინას ძირითადი კონკურენტები არიან: რუსეთის სამხრეთი რეგიონების მინის მწარმოებლები კომპანიები AKTIS; KAVMINSTEKLO. სომხეთის მინის მწარმოებელი კომპანიები ARMGLAS; SARANIST.

საკანონმდებლო ბარიერების არ არსებობის გამო, კონკურენტი კომპანიები თავისუფლად შემოდიან საქართველოს ბაზარზე დემპინგური ფასებით. ბაზრის ათვისების მიზნით ეს კომპანიები პროდუქციას ყიდნიან თვითღირებულებით ან უმნიშვნელო მარჟით, რაც სს მინას არასამართლიან გარემოში აყენებს. ფასებით უპირატესობის კომპენსაციას სს მინა ცდილობს მაღალ ხარისხიანი პროდუქციით

და 2018 წელს მან შეძლო ბაზრის 11% დაეკავებინა. სს მინას აქვს პოტენციალი და ამბიცია, ღვინის სექტორზე უახლოეს პერიოდში დაიკავოს დომინირებული მდგომარეობა შიდა ბაზარზე.

უალკოჰოლო სასმელების სექტორზე კომპანიას სტაბილურად უჭირავს ბაზრის 40%.

სს მინა აქცენტს აკეთებს მინის ტარის მსხვილ სექტორებზე, როგორცაა მინერალური წყლები, ღვინო და შამპანური, უალკოჰოლო სასმელები. რაც შეეხება არყის და საკვები პროდუქტების მინის ტარის სექტორებს, ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნა მცირეა, ამავე დროს ეს სექტორი ძირითადად დაინტერესებულია თეთრი მინით. ადგილობრივი ქვიშა არ არის გამოსადეგი თეთრი პროდუქციის საწარმოებლად და იმპორტული ქვიშით თეთრი მინის თვითღირებულება, ფერად მინასთან შედარებით, გაცილებით ძვირია. სიმძლავრეების სრულად დატვირთვის პირობებში, კომპანია არ არის დაინტერესებული თეთრი ფერის პროდუქციის წარმოებით და რეალიზაციით. ამ ეტაპზე არყის და საკვები პროდუქტების მინის ტარის პროდუქციასთან დაკავშირებული მოთხოვნა შესაძლებელია განვიხილოთ დამატებითი პოტენციალის სახით.

სს მინას გაყიდვების სტრატეგიის პრიორიტეტია ექსპორტის ზრდა და უახლოესი ბაზრების ათვისება. არსებული სიმძლავრეებისა და შიდა ბაზარზე მოთხოვნების გათვალისწინებით, კომპანიას შეეძლო წარმოებული პროდუქცია სრულად გაეყიდა საქართველოში. მიუხედავად ამისა, მთლიანი გაყიდული პროდუქციის 15% ექსპორტზე გაიტანა. პროდუქცია გაიყიდა პოლონეთში, თურქეთში, , აზერბაიჯანში.

	2018 წელი	2017 წელი
თურქეთი	6117.6	8997.2
იტალია	0.0	1911.4
აზერბაიჯანი	2423.6	2885.4
ბულგარეთი	222.7	150.6
ჯამი	8,763.9	13,944.6

თურქეთის ბაზარზე დომინირებს, სს მინას პარტნიორი და აქციების მფლობელი კომპანია „ანადოლუ ჯამ სანაი“. თურქეთის ქარხნებთან შედარებით სს მინაში მოქმედი მინის სახარში ღუმელების მოცულობა და საწარმოო ციკლი, უფრო მოქნილი და მოსახერხებელია, მცირე შეკვეთების და სხვადასხვა სახის პროდუქციის საწარმოებლად.

ამ უპირატესობის და კომპანია „ანადოლუ ჯამ სანაისთან“ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სს მინამ 2018 წელს თურქეთში გაყიდა 16 სახეობის ღვინის ბოთლი, საერთო მოცულობით 6118 ტონა.

2017-18 წლებში სს მინამ პროდუქცია გაყიდა ევროკავშირის ბაზარზე, კერძოდ ბულგარეთში, საერთო მოცულობით 222,7 ტონა, ანუ 58%-ით მეტი ვიდრე გასულ წელს. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს სს მინას პროდუქციის მაღალ ხარისხს და ევროპულ სტანდარტს.

სს მინა მრავალი წელია პროდუქციას ყიდის ამიერკავკასიის ბაზარზე, კერძოდ აზერბაიჯანში. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, კომპანიამ 2018 წელს გაყიდა 2423,6 ტონა პროდუქცია. სს მინა სისტემატიურად აწარმოებს ბაზრის კვლევას, იღებს მონაწილეობას გამოფენებში, აქვს პირდაპირი კონტაქტი და შეხვედრები მომხმარებლებთან. შესაბამისად მომავალ წლებში ვგეგმავთ გაყიდვების გაფართოებას აზერბაიჯანის ბაზარზე.

სს მინას ურთიერთობა აქვს შიდა ბაზარზე მოქმედ მინერალური, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელების თითქმის ყველა მსხვილ კომპანიასთან. გარდა აღნიშნულისა, ღვინის სექტორზე კომპანიას ურთიერთობა აქვს 190 წვრილ მწარმეს და საოჯახო მეურნეობასთან.

კომპანიას ინტენსიური კავშირი აქვს მომხმარებლებთან. ჩვენი წარმომადგენლები სისტემატიურად ესწრებიან ყველა ახალი პარტიის ჩამოსხმის პროცესს და ერთობლივად განიხილავენ ინფორმაციას წარმოშობილი წუნების შესახებ. ტარდება კვლევები მომხმარებლის სამომავლო მოთხოვნების შესასწავლად. კომპანია განუწყვეტლივ მუშაობს პროდუქციის ხარისხის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე, რათა უზრუნველყოს მომხმარებლის მოთხოვნები დღეისათვის და სამომავლოდ.

ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით კომპანიას დაგეგმილი აქვს მომხმარებლებთან ურთიერთობების გაუმჯობესების სტრატეგიული მიმართულებები:

- მსხვილ მომხმარებლებთან ერთობლივად მუშაობის დეტალური დაგეგმვა;
- მომხმარებლებთან ურთიერთობების ფორმების სრულყოფა;
- მომსახურების ხარისხის სრულყოფა და გაფართოება.

4. კომპანიის განვითარების გზები.

სს მინას მენეჯმენტმა, არსებული მონაცემების საფუძველზე ჩატარებული ანალიზის შედეგად, განსაზღვრა შემდგომი განვითარების სტრატეგიული გეგმა. გეგმა შემუშავებულია სს მინას წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემატური საკითხების და გამოწვევების საფუძველზე.

კომპანიის განვითარების ძირითადი მიმართულებებია:

- საწარმოო სიმძლავრის ზრდა, ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად;
- წარმოების ეფექტიანობის ზრდა;
- დანახარჯების ოპტიმიზაცია და ფინანსური კონტროლის ზრდა;
- ადამიანური რესურსების სრულყოფა.

4.1 საწარმოო სიმძლავრის ზრდა.

მინის ტარის პროდუქციის ბაზრის განვითარების დინამიკის გათვალისწინებით ჩანს, რომ კომპანიის დადგმული სიმძლავრე არასაკმარისია და მოსალოდნელია ბაზარზე წილის კიდევ შემცირება. სიმძლავრის გაზრდისთვის ახალი ინვესტიციის დაგეგმვის დროს არ შეიძლება მაღალი პოლიტიკური რისკების უგულებელყოფა. ბაზარზე პოზიციის განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია რეგიონში ბაზრების მდგომარეობასა და პოლიტიკურ სტაბილურობაზე.

მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გათვალისწინებით სს მინას დაგეგმილი აქვს ახლო მომავალში საწარმოო სიმძლავრეების ზრდა, ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სიმძლავრეების ზრდა კომპანიას საშუალებას მისცემს დაიწყოს გაყიდვების სტრატეგიული გეგმის განხორციელება:

- საქართველოს ღვინის ბაზრის სექტორზე დომინირებული პოზიციის მოპოვება;
- უალკოჰოლო სასმელების ბაზრის სექტორზე საკუთარი წილის გაზრდა;
- თეთრი მინის წარმოების და გაყიდვების გაფართოება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია, ადგილობრივი წარმოების არაჯანსაღი კონკურენციისგან დაცვის მიზნით, საკანონმდებლო ბაზის შექმნა. კომპანია მონაწილეობს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთობლივი მუშაობის პროცესში, ანტიდემპინგური და ბაზარზე შესვლის ფასების რეგულაციის კანონმდებლობის შესაქმნელად.

დასახული მიზნის მისაღწევად მეორე მთავარი მიმართულებაა შიდა რეზერვების გამოყენების ხარჯზე დანახარჯების ოპტიმიზაცია. ეს ითვალისწინებს ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფას და ექსპლუატაციის ხარისხის ამაღლებას; ადამიანური რესურსების მართვის მეთოდების გაუმჯობესებას.

4.2 წარმოების ეფექტიანობის ზრდა.

წარმოების ეფექტიანობის ზრდა სს მინას მთავარი გამოწვევაა. ძირითადი მიზეზები, რომელიც ხელს უშლის წარმოების ეფექტიანობის ზრდას შემდეგია: არაერთგვაროვანი ნედლეული, ზეგვემოური მოცდენები და წუნები.

ადგილობრივ ბაზარზე სს მინა ყიდულობს ძირითად ნედლეულს: კვარცის ქვიშა, დოლომიტი, კირქვა, ლენი (მეორადი მინის ნამსხვრევი). ამ ნედლეულის ბაზარზე ძირითადად ფუნქციონირებენ მცირე და საშუალო სიდიდის კომპანიები და ვერ უზრუნველყოფენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

სს მინას მიზანია მიიღოს ისეთი კონდენციის ნედლეული, რომელიც პირდაპირ მიეწოდება მინის სახარშ ღუმელს. ეს ითვალისწინებს ერთგვაროვან ქიმიურ შემადგენლობას, ნედლეულის ფრაქციულობის და ნესტიანობის მისაღებ პარამეტრებს. სს მინას და ნედლეულის მომწოდებელი კომპანიების ერთობლივი მუშაობით, დაისახა განვითარების გზები და ნედლეულის მომწოდებლებს გაუფორმა გრძელვადიანი კონტრაქტები. შესაბამისად ნედლეულის მომწოდებელი კომპანიებისთვის ხელმისაწვდომი გახდა მოზიდული სახსრები და ტექნიკური გადაიარაღების დაწყება. ჩატარებული სამუშაოების შედეგად კომპანიამ 2018 წლის ბოლოს მიიღო ყველა ნედლეული ისეთი კონდენციით, რომელიც შეიძლება პირდაპირ მიაწოდოს მინის სახარშ ღუმელს. შესაბამისად უახლოეს პერიოდში ველოდებით წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვან ზრდას.

წარმოების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფა და ადამიანური რესურსების მართვის მეთოდების გაუმჯობესების ხარჯზე ექსპლუატაციის ხარისხის ამაღლება. ამ მიზნის მისაღწევად კომპანიამ დასახა განვითარების შემდეგი მიმართულებები:

- კაზმის საამქროს (ნედლეულის დამამზადებელი საამქრო) რეკონსტრუქცია. ნედლეულის აწონვის სისტემის მოდიფიკაცია;
- მინის სახარში ღუმელების ფუნქციონირების გაუმჯობესება. ტემპერატურული რეჟიმების კონტროლის და მართვის დარგში აპრობირებული მეთოდების დანერგვა;

- საწარმოო დანადგარების ეფექტურობის ზრდა. ექსპლუატაციის და ტექნიკური დათვალიერების სტანდარტიზაცია. ინფორმაციის ელექტრონულ პროგრამებში ასახვა და ხელმისაწვდომობის ამაღლება.

4.3 დანახარჯების ოპტიმიზაცია და ფინანსური კონტროლი.

მინის ტარის პროდუქციის თვითღირებულებაში დიდი წილი ენერგორესურსების დანახარჯებზე მოდის. ამიტომ კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს ენერგო რესურსების დანახარჯების ოპტიმიზაციას. შესაბამისად სს მინას განსაზღვრული აქვს, თვითღირებულებაში წილის შესაბამისად კონკრეტული დანახარჯების ოპტიმიზაციის გზები:

- ენერგო დანადგარების გადახალისება და დაწნეხილი ჰაერის დანაკარგების შემცირება.
- ძველი კომპრესორების ჰაერის მოხმარების მოთხოვნის შესაბამისი სიმძლავრის კომპრესორებით ჩანაცვლება;
- გაცივების ვენტილატორების ოპტიმიზაცია;
- მაღალეფექტური ძრავის ინვერტორისა და ეკონომიური განათების საშუალებების გამოყენება;
- მინის საჭრელი დანების წყლის სისტემის რეკონსტრუქცია და დანაკარგების შემცირება
- სასაწყობო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია და მარაგების გაფუჭების დანაკარგების აღმოფხვრა;
- მარაგების ბრუნვის დაჩქარება და საბრუნავი სახსრების ოპტიმიზაცია;
- ნარჩენების მართვის გაუმჯობესება;
- ვადაგადაცილებული მოთხოვნების მართვის ახალი სისტემის დანერგვა;
- სათადარიგო ნაწილების და დამხმარე მასალების დეტალური ბიუჯეტის გაწერა და მარაგების ოპტიმიზაცია;
- ჯგუფში ერთიანი შესყიდვების ალტერნატივების გამოყენებით ეკონომიის უზრუნველყოფა.

2018 წლის ივლისში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიის გადაწყვეტილებით მკვეთრად გაიზარდა გაზის ტრანსპორტირების და განაწილების ტარიფები. (იხილეთ თავი #5 ოპერაციული რისკები). დაუგეგმავი დამატებითი დანახარჯების ოპტიმიზაციის მიზნით კომპანია იძულებული გახდა აეშენებინა საკუთარი გაზის მილსადენი და გაზის გამანაწილებელი სადგური. სახელმწიფო ორგანოების თანადგომით პროექტის განხორციელება დაიწყო

2018 წელს და დასრულდა 2019 წლის მარტში. საინვესტიციო დანახარჯებმა შეადგინა 1,581 ათასი ლარი.

4.4 ადამიანური რესურსების სრულყოფა.

დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო გახდა ადამიანური რესურსებისადმი მიდგომის ახალი პოლიტიკის გატარება. ახალი პოლიტიკა ეფუძნება შიშეჯამის ჯგუფში მიღებულ და აპრობირებულ სტანდარტებს. იგი ეფუძნება კანონებს, კორპორატიულ ღირებულებებს და ეთიკურ პრინციპებს. ითვალისწინებს განსხვავებულობას და თანაბარ შესაძლებლობებს. სურს რა იყოს სასურველი დამსაქმებელი, კომპანია იყენებს მიუკერძოებელ, სისტემატურ და განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას ადამიანური რესურსების ყველა პროცესთან მიმართებით, მათ შორის დაკომპლექტების, კარიერის მართვის, პროფესიული განვითარების, ტრენინგის და შედეგების მართვის ჩათვლით.

ახალი პოლიტიკის შესაბამისად კომპანიამ განსაზღვრა ადამიანური რესურსების განვითარების ძირითადი მიმართულებები:

- ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
- შიშეჯამის ჯგუფში აპრობირებული პროცედურების დანერგვა
- ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება;
- პერსონალის საქმიანობის შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა;

სამუშაოები დაიწყო 2017 წელს და 2018 წლის ბოლოს სრულად იქნა მიღწეული დასახული მიზნები. აღნიშნული მიმართულებების მუშაობამ სისტემატიური ხასიათი მიიღო და ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი გახდა, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდას შეუწყობს ხელს.

5. საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები.

სს მინას რისკების მართვა წარმოადგენს კომპანიის მართვის სისტემის შემადგენელ ნაწილს. კომპანიას შემუშავებული აქვს რისკების გამოვლენის, შეფასების და მართვის პრინციპები.

კომპანია ერთმანეთისგან მიჯნავს რისკებს, რომელზეც ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია და რისკებს რომლის მართვაც შეუძლია.

სტრატეგიული რისკები.

სტრატეგიულ რისკებს, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს სს მინას საქმიანობაზე, შეიძლება მიეკუთვნოს რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, საქართველოს კანონმდებლობა.

საქართველოში ჩამოსხმული ღვინის 90%-ზე მეტი, მინერალური წყლების 65% და უალკოჰოლო სასმელების 50% ექსპორტით გადის მეზობელ ქვეყნებში, რის გამოც ბაზრის მთლიანი მოთხოვნა დამოკიდებულია რეგიონის უახლოეს ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე. რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური გარემო ზეგავლენით სს მინამ არაერთხელ განიცადა ზიანი. რუსეთის მიერ საქართველოსთვის დაწესებული ემბარგოს გამო იძულებული გავხდით, 2006 წელს დაწყებული პროექტი შეგვეჩერებინა და კომპანიამ განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი. 2014 წლის ბოლო კვარტალში დაწყებული დევალუაციის, შემდგომ კი რუსეთსა და უკრაინას შორის დაწყებული პოლიტიკური დაძაბულობის გამო მოთხოვნა 35%-ით შემცირდა

საქართველოს ეკონომიკა კონკურენციის არაეფექტური კანონმდებლობით ხასიათდება. საქართველოში ბაზარზე შესვლის და ანტიდემპინგური კანონმდებლობის არ არსებობის გამო, უცხოურ კომპანიებთან შედარებით სს მინა არასამართლიან კონკურენტულ გარემოში აღმოჩნდა.

არასამართლიან კონკურენციას განაპირობებს შემდეგი გარემოებები. საქართველოში ბოთლის იმპორტზე არ ვრცელდება არანაირი საბაჟო გადასახადი. ცხადია, რომ ადგილობრივ წარმოებას უწევს არათანაბარ და უსამართლო კონკურენტულ გარემოში მუშაობა. გასათვალისწინებელია, რომ მნიშვნელოვანი სხვაობაა საქართველოში არსებულ წარმოებასა და უცხოეთში არსებული საწარმოების დანახარჯებს შორის. მაგალითად: 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს რუსული ქარხნები იღებენ 110 დოლარად. სომხეთი - 189 დოლარად, ხოლო საქართველოში - 260 დოლარია. ამრიგად, წარმოებისათვის აუცილებელი ძირითადი ენერგორესურსები ქართულ წარმოებას გაცილებით ძვირად მიეწოდება. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ევროპის ბევრ ქვეყანაში მოქმედებს კანონი ბაზარზე შესვლის ფასების რეგულაციის შესახებ. ეს კანონი ადგენს თამაშის წესებს ბაზარზე, ადგენს როგორ შეუძლიათ იმპორტიორებს პროდუქციის ფასის განსაზღვრა, მათ შორის რამდენით შეუძლიათ პროდუქციის ფასი დაწვეა. ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი იქნება ამ კუთხით საქართველოშიც არსებობდეს საკანონმდებლო ბაზა, რათა ადგილობრივი წარმოება დაცული იყოს არაჯანსაღი კონკურენციისგან.

ოპერაციული რისკები.

ოპერაციულ რისკებს შეიძლება მივაკუთვნოთ სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი), საქართველოს რკინიგზის მიერ ისეთი ტარიფების დამტკიცებასთან, რომელიც მკვეთრად ზრდის ენერგორესურსების და ტრანსპორტირების ხარჯებს და ხელს უშლის დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ასეთი პრაქტიკა სს მინას არაერთხელ ჰქონია და ანალოგიური განმეორდა საანგარიშო პერიოდში.

2018 წლის 18 ივლისის #14 დადგენილებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) დაადგინა შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მომხმარებლებისათვის სამომხმარებლო ზღვრული ტარიფები: ტრანსპორტირების ტარიფი - 1.884 თეთრი/მ³; განაწილების საქმიანობის ტარიფი - 19.620 თეთრი/მ³.

ამდენად, კომპანიისთვის ტრანსპორტირების ტარიფი შეადგენდა 1კუბურ მეტრ გაზზე - 1,383 თეთრს და 20 ივლისიდან შეადგენს 1,884 თეთრს. ხოლო განაწილების საქმიანობის ტარიფი შეადგენდა 1,669 თეთრს და 20 ივლისიდან შეადგენს 19,62 თეთრს, ანუ გაძვირდა თითქმის 12-ჯერ.

განაწილების ტარიფიდან გამომდინარე, მუხრანის სადგურიდან კომპანიის ტერიტორიამდე, 11 კილომეტრზე მილსადენით გაზის ტრანსპორტირებისათვის სს მინა 2018 წლის ივლისიდან წლის ბოლომდე იხდიდა ყოველთვიურად საშუალოდ 269 ათას ლარს, მაშინ როდესაც საანგარიშო წლის ივლისამდე იხდიდა საშუალოდ 22 ათას ლარს.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ შემოგვთავაზა გარკვეული შეღავათები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალი ტარიფებიდან გამომდინარე, კომპანიამ 2018 წელს დამატებით გადაიხადა 700 ათასი ლარი.

ფინანსური რისკები.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა სახის საფასო რისკებს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზანია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომში უზრუნველყოფა, რომ რისკის ზეგავლენა არ გასცდეს

აღნიშნული ლიმიტების ფარგლებს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვა ითვალისწინებს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფას საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შემცირების მიზნით.

საკრედიტო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით მეორე მხარისთვის მიყენებული ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის პროდუქციის გაყიდვების შედეგად საკრედიტო პირობების ან კონტრაგენტთან გაფორმებული სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რაც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაციები, ვინაიდან მომხმარებლის პორტფელი დივერსიფიცირებულია როგორც კერძო, ასევე იურიდიულ პირ მომხმარებლების დიდ ნაწილს შორის. იმის მიუხედავად, რომ დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც სცილდება კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში უკვე აღრიცხულ რეზერვებს.

საბაზრო რისკები წარმოიშვება ა) უცხოურ ვალუტებში და ბ) პროცენტიან ვალდებულებებში ღია პოზიციებიდან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება საერთო და კონკრეტულ საბაზრო კონიუნქტურას. ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს რისკის ღირებულებაზე, რომელიც შესაძლოა იყოს მიღებული. აღნიშნული ლიმიტების მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ გამოიყენება აღნიშნული ლიმიტების ფარგლებს გარეთ ზარალის დადგომას უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო კონიუნქტურის შემთხვევაში.

ლიკვიდობის რისკი წარმოიშვება კომპანიის მიერ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების დროს. კომპანია ექვემდებარება რისკს, რომელიც უკავშირდება საკუთარი ფულადი რესურსების გამოყენებას ყოველდღიური ანგარიშსწორებების განხორციელებისთვის. ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს ფულადი საშუალებების ნაკადების ყოველთვიურ მცურავ პროგნოზებს.

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს შესაძლებელია თუ არა ფულადი საშუალებების და საბანკო დეპოზიტების ლიკვიდობის პორტფელი რეალიზებული იქნას ფულად საშუალებად ერთი დღის განმავლობაში იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს გაუთვალისწინებელი ლიკვიდობის მოთხოვნები.

ფინანსური რისკების დეტალური ანგარიში იხილეთ “სს მინას 2018 წლის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში“, მუხლი 19, ფინანსური რისკების მართვა.

საკანონმდებლო შესაბამისობის რისკები.

საკანონმდებლო შესაბამისობის რისკები, რომლებსაც ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ სს მინას საქმიანობაზე, მიეკუთვნება საგადასახადო, შრომის დაცვის, გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის რისკები.

საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი და საგადასახადო ბაზა სისტემატიურად განიცდის განვითარებას და სრულყოფას, თუმცა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა სამართლებრივ და საგადასახადო სირთულეებთან ერთად დაბრკოლებას უქმნის საქართველოში მოქმედ კომპანიებს.

ქონებრივი და ბიზნეს რისკები.

ქონებრივ და ბიზნეს რისკებს მიეკუთვნება:

- შენობა-ნაგებობების, მანქანა-დანადგარების, მარაგების, საინფორმაციო და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების, საკომუნიკაციო საშუალებების. ავტომობილების დაცვის რისკები სტიქიური უბედურებებიდან და მესამე პირთა ბოროტგანზრახული ქმედებებიდან;
- საინფორმაციო რისკები. ინტელექტუალური საკუთრება, ინფორმაციის წყაროები, ინფორმაციის შენახვა და გამოყენება, კომერციული საიდუმლო, ინფორმაციის გამოყენების თანამედროვე ტექნოლოგიები.
- ადამიანური რესურსების რისკები. ტრამვა, ჯანმრთელობის გაუარესება გარდაცვალება.

კომპანია სისტემატიურად მუშაობს აღნიშნული რისკებისგან დაცვის საშუალებების სრულყოფაზე. 2018 წელს საინფორმაციო და პროგრამული უზრუნველყოფის

საშუალებების დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სს მინამ განახორციელა ინვესტიციები 40 ათასი ლარის ოდენობით. კომპანიას ხელშეკრულების საფუძველზე იცავს სახელმწიფო დაცვის სამსახური.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა ასეთი რისკებისგან სრული დაცვა ფაქტიურად შეუძლებელია. შესაბამისად ქონებრივი და ბიზნეს რისკები სრულად არის დაზღვეული კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ.

6. კომპანიის მართვა

საზოგადოების მართვა ხორციელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და საზოგადოების წესდების შესაბამისად. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშის, მათ შორის საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშის დამტკიცების და განაწილების შესახებ საკითხები.

2018 წლის 18 მაისს ჩატარდა აქციონერთა კრება. კრებას ესწრებოდა თურქული კომპანია „Anadolu Cam Sanayii A.S“-ის წარმომადგენლები აბდულა კილინჩი და სიბელ კოჩი. კომპანია „Anadolu Cam Sanayii A.S“ (რეგისტრაციის ნომერი 10340 ფლობს სს მინას აქციების 100 %-ს, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (რეგისტრაციის ნომერი 236034830).

აქციონერთა კრებამ მოისმინა დირექტორთა საბჭოს და აუდიტორული კომპანიის ანგარიშები და დაამტკიცა.

აქციონერებმა გადაწყვიტეს მომდევნო წელს თანამშრომლობა გააგრძელონ იგივე აუდიტორულ კომპანიასთან.

კრებამ დაამტკიცა ცვლილებები მეთვალყურეთა საბჭოში. კერძოდ: მეთვალყურეთა საბჭოს წევრობისგან განთავისუფლდა დოგან მურატ ანტინოგლუ და არჩეული იქნა ბურაკ ატალაი. დეტალური ინფორმაცია იხილეთ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, nabr.gov.ge.

დივიდენდების განაწილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს სს მინას საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას. საზოგადოების წესდების და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს

კანონის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 5 კაციით. დეტალური ინფორმაცია იხილეთ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, napr.gov.ge.

საზოგადოების უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს სს მინას დირექტორთა საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია მეთვალყურეთა საბჭოს და აქციონერების წინაშე. დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 5 კაციით: გენერალური დირექტორი, გაყიდვების და მარკეტინგის დირექტორი, წარმოების დირექტორი, შესყიდვებისა და ლოგისტიკის დირექტორი, ანგარიშ წარმოების დირექტორი. დეტალური ინფორმაცია იხილეთ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, napr.gov.ge.

2017 წელს შიშვეჯამის შვილობილ კომპანიას „ანადოლუ ჯამ სანაის“ და სს მინას შორის გაფორმდა ხელშეკრულებები „მართვის მომსახურების შესახებ“. ხელშეკრულების საფუძველზე სს მინამ დაიწყო მართვის უახლოესი მოდელის დანერგვა.

საზოგადოების საქმიანობის მართვის და კონტროლის ფუნქციების სრულყოფის მიზნით, 2018 წელს სრულად დაინერგა სს მინას თანამშრომლებისთვის საქმიანობის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები, რაც კონკრეტული თანამშრომლის წარმატების ინდიკატორია. იგი შემუშავებულია საზოგადოების სტრატეგიის საფუძველზე და თანამშრომლის მუშაობის ეფექტურობის, ასევე საზოგადოების მიზნების რეალიზაციაში მისი წვლილის, სრული შეფასების საშუალებას იძლევა. ეფექტურობის მაჩვენებლები განსაზღვრავს კონკრეტული თანამშრომლის ძირითად საწარმოო ამოცანებს.

მართვის მეთოდების გაუმჯობესების მიზნით, კომპანია სისტემატურად ატარებს სხვადასხვა სახის ტრენინგებს. 2018 წელს კომპანიაში ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრენინგი. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 58 კაცმა.

2018 წელს დასრულდა საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამუშაო პროცესის მართვის და ორგანიზების მეთოდიკა 5S დანერგვა. მეთოდიკა ითვალისწინებს სამუშაო ადგილის ორგანიზებას, კერძოდ: დახარისხება, წესრიგი, სისუფთავე, სტანდარტიზაცია და სრულყოფა. მეთოდიკის ინსტრუქციებისა და წესების საშუალებით, თანამშრომლებმა ისწავლეს, დამოუკიდებლად როგორ გააუმჯობესონ საკუთარი სამუშაო ადგილი, გახადონ ის უფრო მოხერხებული და უსაფრთხო. წარმოება დაყოფილია ზონებად. ზონის აქტივისტები ახორციელებენ სისტემატურ კონტროლს, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს პრობლემის ნაყოფიერების ზრდას და წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

სს მინას შიდა კონტროლის სისტემა წარმოადგენს მენეჯმენტის და სხვა თანამშრომლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის, ორგანიზაციული ღონისძიებების, პროცედურებისა და მოქმედებების ერთიანობას, რომელთაც უნდა უზრუნველყონ საზოგადოების მიზნების მიღწევის გონივრული რწმენა და მისაღებ დონემდე რისკების შემცირება. კომპანიის შიდა კონტროლის სისტემა შექმნილია საწარმოო და ფინანსური საქმიანობის რეგულარული კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონმდებლობასთან, საზოგადოების წესდებებსა და შიდა დოკუმენტებთან შესაბამისობაში. შიდა კონტროლის სფეროში კომპანია ხელმძღვანელობს მეთვალყურეთა საბჭოს მიერ დამტკიცებული შიდა ინსტრუქციებით. ინსტრუქციები დამუშავებულია შიშვეტამის შვილობილ კომპანიაში „ანადოლუ ჯამ სანაი“ მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად და იგი აპრობირებულია შიშვეტამის მთელ სისტემაში. ინსტრუქციები დამუშავებულია დარგების მიხედვით, კერძოდ: საწარმოო პროცესები; შესყიდვები და ლოჯისტიკა; გაყიდვები; ფინანსური კონტროლი; ადამიანური რესურსები. ინსტრუქციები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ფაქტიურად ნულამდეა დაყვანილი ბიზნეს პროცესების უსაფრთხოების, თანამშრომლების არაკეთილსინდისიერი მოქმედებების და სხვა დარღვევების რისკები.

ხარისხის მართვის კუთხით კომპანიაში დანერგილია:

- ISO 9001-2015 (მენეჯმენტის მართვა) TUV
- ISO FSSC -2200 (ISO 22002.4) (სურსათის უვნებლობა) TUV
- ISO 18001 (შრომის ჰიგიენა და უსაფრთხოება)

2019 წელს დაგეგმილია ISO 14000 ეკოლოგიის უსაფრთხოების სერთიფიცირება.

7. ადამიანური რესურსები და სოციალური აქტივობა

სს მინას მიზანია განახორციელოს ადამიანური რესურსების პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს მდგრად გლობალურ წარმატებას, აყალიბებს ინოვაციურ, კორპორატიულ კულტურას, რომელიც ხელს უწყობს კოლაბორაციულ სწავლებას, ახორციელებს საუკეთესო ადამიანური რესურსების პოლიტიკას მუშაობის ყველა სფეროში და ყველა მონაწილე მხარისთვის მოაქვს სარგებელი.


სს მინას მიზანია მაქსიმალურად გაზარდოს თავისი ადამიანური რესურსების პოტენციალი, უზრუნველყოს მათი ეფექტურობა და გააძლიეროს მის მიერ შექმნილი ღირებულებები სამომავლოდ. კომპანია თავის მომავალს განაპირობებს ადამიანებზე,

უწყვეტ განვითარებაზე და ინოვაციაზე ორიენტირებული მიდგომებით, აერთიანებს რა თავის ისტორიას მომავლის ხედვებთან.

კომპანიაში დასაქმებულია 220 კაცი, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა მიმდებარე სოფლებიდან. პერსონალის ძირითადი ნაწილი მუშათა კატეგორიას განეკუთვნება, დასაქმებულთა 71 %. 2018 წელს კომპანია დატოვა 47 კაცმა, ხოლო მიღებულია 1 კაცი.


კომპანიამ საანგარიშო პერიოდში დაიწყო ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაცია. შიშეჯამის ჯგუფში აპრობირებული პროცედურების შესაბამისად სს მინამ უარი თქვა დამხმარე სამუშაოების საკუთარი ძალებით შესრულებაზე. კერძოდ: გაუქმდა დასუფთავების. ლენის რეცხვის და სხვა დამხმარე სამსახურები. საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით, კომპანიიდან განთავისუფლდა აღნიშნულ სამსახურებში დასაქმებული პერსონალი. დამხმარე ფუნქციების შესრულება დაეკისრა კონტრაქტორ კომპანიებს. სს მინას მოთხოვნით განთავისუფლებული პერსონალი სრულად დასაქმდა კონტრაქტორ კომპანიებში. შესაბამისად კომპანიამ შეძლო განთავისუფლებული პერსონალის სოციალური დაცვა.

პერსონალი




კომპანიაში გენდერულ თანაფარდობას განაპირობებს შრომის მძიმე პირობები, წარმოების უწყვეტი ციკლი. პროფესიების უმეტესი ნაწილი ქალის შრომისთვის მიუღებელია. შესაბამისად საერთო პერსონალის 21% ქალია, ხოლო 79 % მამაკაცი.

გენდერული ბალანსი




კომპანიის პერსონალის შემადგენლობა საშუალო ასაკისა. 40 წლამდე პერსონალი მთლიანი პერსონალის 55 %-ს შეადგენს, 60 წლამდე - 34%-ია, ხოლო სამოც წელზე ზევით მხოლოდ 11 %.

ასაკობრივი განაწილება



სს მინას პერსონალის განათლების ხარისხობრივ განაწილებას განაპირობებს მუშათა უმრავლესობა. არასრული საშუალო განათლების პერსონალი შეადგენს მთლიანი პერსონალის 10 %-ს, რომლებიც დასაქმებული არიან არაკვალიფიციურ სამუშაოზე; საშუალო განათლების - 30 %-ს; საშუალო სპეციალური განათლების - 28 %-ს, ხოლო უმაღლესი განათლების პერსონალი - 32%-ს.



კომპანიაში სისტემატიურად მიმდინარეობს პერსონალის სწავლა და კვალიფიკაციის ამაღლება. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან ერთად კომპანიამ მონაწილეობა მიიღო პროფესიულ განათლების განვითარების პროექტში.

2018 წელს ტრენინგი გაიარა 58 კაცმა. მათ შორის: ელექტრო უსაფრთხოება -12; ხარისხის კონტროლი - 41; ამწე მოწყობილობები - 5;

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პრომის დაცვის საკითხებს. პროფკავშირების ჩართულობით საწარმოში შეიქმნა პრომის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მონიტორინგის ჯგუფი. მუდმივად მიმდინარეობს სამუშაოები ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, კერძოდ: უმაღლესი ხარისხის ინდივიდუალური და გამაუვნებელი საშუალებების შესყიდვა; მიკროკლიმატის გაუმჯობესებისთვის სამუშაო ადგილებზე ტექნიკური აღჭურვილობის დამატება; წელიწადში ერთხელ პროფესიულ დაავადებებზე პროფილაქტიკური სამედიცინო

შემონმება; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დახმარებით აქციები ც- ჰეპატიტის და „შიდსის“ გამოვლენაზე, ექსპრეს ანალიზები სს მინას სრულ შემადგენლობის მონაწილეობით; სიგარეტის მოწევის საწინააღმდეგო კამპანია.

საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად სს მინა პერსონალს უნაზღაურებს გენორმატიულ სამუშაო დროს. გრაფიკით მომუშავე თანამშრომლებს (24 საათიანი სამუშაო ციკლი) ეძლევათ დანამატი ღამის სამუშაო საათებზე, სადღესასწაულო დღეებში ორმაგი ანაზღაურება.

გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული ანაზღაურებისა, კომპანიას საკუთარი ინიციატივით შექმნილი აქვს თანამშრომელთა მატერიალური დახმარების სისტემა:

- უფასო კვებით მომსახურება;
- უფასო სატრანსპორტო მომსახურება;
- ჯანმრთელობის დაზღვევა;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში (ქორწილი, ბავშვის დაბადება, ოჯახის წევრის გარდაცვალება) ერთჯერადი დახმარება;
- 18 წლამდე ბავშვებზე ყველა თანამშრომელს ეძლევა ყოველთვიურად, თითოეულ ბავშვზე დახმარება;
- სადეკრეტო შვებულების ანაზღაურება;
- საჩუქარი დაბადების დღეზე და საახალწლოდ.

სს მინა გამოირჩევა სხვადასხვა სოციალური აქტივობებით რეგიონში, კერძოდ: ადმინისტრაციულ კორპუსში მრავალი წელია ფუნქციონირებს სოფლის ამბულატორია და სრულად იხდის კომუნალურ გადასახადებს, ეხმარება სხვადასხვა მედიკამენტების დაფინანსებაში; სს მინა ყოველწლიურად ასაჩუქრებს ქსნის საშუალო სკოლის და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს და ეხმარება აუცილებელი ინვენტარის შეძენაში.

ასევე დასაქმებული ყავს 50 მცირე და ინდივიდუალური მეწარმე, რომელთა პროდუქციის (დოლომიტი, კირქვა, ხის საძირე, ლენი, სხვა მასალები) მყიდველი მხოლოდ ჩვენი კომპანიაა. აღნიშნულ საწარმოებში დასაქმებულია 200 კაცი. შესაბამისად სს მინას, თავისი საქმიანობით, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რეგიონში სოციალური პრობლემების გადაჭრაში.

8. გარემოს დაცვა.

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემის მუდმივი სრულყოფა წარმოადგენს სს მინას სოციალური პასუხისმგებლობის წარმოჩენის გზას და გარემოს დაბინძურების შემცირების ეფექტურ მეთოდს. საზოგადოება ახორციელებს საკუთარი ვალდებულებების პერიოდულ გადაფასებას გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სს „მინა“ გარემოს დაცვის საკითხებში ხელმძღვანელობს საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვით №000055

კომპანიამ შეიმუშავა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეათანხმა:

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, სადაც სრულად გაწერილია საწარმოს მიმდინარე საქმიანობის პროცესში ფიზიკურ და სოციალურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა გეგმა;
2. ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმები.
3. ნარჩენების მართვა.

გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის შესაბამისად კომპანია ასრულებს ადგილზე ვალდებულებებს, კერძოდ:

ა) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელება:

- საწარმოში არსებული მტვერდამჭერი სისტემების მუდმივი კონტროლი.
- ღუმელებში მინის დნობის მუდმივი კონტროლი ბუნებრივი აირის წვის ეფექტურობაზე.
- საწარმოო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების მონიტორინგი ჯამრთელობის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.
- საწარმოს ტერიტორიაზე და გაფრქვევის წყაროებზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის წარმოება. (კვარტალში ერთხელ)

ბ) ნარჩენების მართვა.


- საწარმოში ნარჩენების სეპარირებულ შეგროვების კონტროლი, რისთვისაც შემოტანილი იქნა სათანადო მარკირების და ფერის, საჭირო რაოდენობის ჰერმეტიკული თავსახურავიანი კონტეინერები.


- საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების მუდმივი კონტროლი მათი შემდგომი განთავსებაზე.
- უზრუნველყოფილია ნარჩენების მართვაზე დასაქმებული პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება.

გ) ნიადაგის და გრუნტის დაბინძურებისაგან დაცვა

- ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების განთავსებისათვის მოწყობილია სპეციალური მოედნები, რომლებიც უზრუნველყოფილია ბეტონის საფარით, გამდინარე წყლით და ჩამდინარე წყლების მიმღები ტრაპით.
- ნავთობპროდუქტებისა და ზეთების დაღვრის საწინააღმდეგო ღონისძიებების სისტემაურად გატარება.

2020 წელს დაგეგმილია ISO 14000 სტანდარტის (გარემოს დაცვა) სერთიფიცირება.

სს „მინას“ გენერალური დირექტორი

 მეჰმედ თაილან საბანერ

ანგარიშ წარმოების დირექტორი

 თეიმურაზ კილაძე

აუდიტორის ანაზღაურება

2018 წელს სს მინას საქმიანობის აუდიტი ჩაატარა დამოუკიდებელმა აუდიტორულმა კომპანიამ შპს ქროუ ჯი. აუდიტორულ მომსახურებაზე წლიურმა ხარჯმა შეადგინა 51,383 ლარი. მათ შორის: წლიური ფინანსური ანგარიშგება - 46,059 ლარი; საკონსულტაციო და სხვა მომსახურება - 5,324 ლარი.

აუდიტორული კომპანიის საკონტაქტო რეკვიზიტები:


აქსისის ბიზნეს ცენტრი, მე-4 სართული 2, დ. გამრეკელის ქ., თბილისი 0160, საქართველო ტელ: +995 32 290 4522 ფაქსი: +995 32 290 4523
www.crowehorwath.ge

სს მინას გენერალური დირექტორი



მეჰმედ თაილან საბანერ

ანგარიშ წარმოების დირექტორი



თეიმურაზ კილაძე

სს მინა

27 სექტემბერი, 2019

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

მვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2019 წლის 27 სექტემბერს გაცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2019 წლის 27 სექტემბრით გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში 2019 წლის 28 თებერვალს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორული დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2019 წლის 28 თებერვლის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

პატივისცემით,



მაგდა ფანჩულიძე

პარტნიორი

Crowe GE LLC

